ეროვნული

№ 200 1877—1905 № 200

სამშაბათი, 8 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

სამშაბათი, 8 ნოემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 5.
ხუთშაბათს, 10 ნოემბერს, 1905 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:
ვლ. ალექსი-მესხიშვილის და ს. მ. რომანიშვილის მონაწილეობით
პირველად ახალი პიესა
I
მაღლა ცოდნაშია
პიესა 3 მოქმ., თხზ. ფილდინგსა.
II
ქურდი
კომ. 1 მოქ. მირბოსი.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ა. ნებიერიძე; ბ-ნნი: ე. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ზ. საფაროვი, ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი.
წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.
რეჟისორი ვალ. გუნია.

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
დღეს, სამშაბათს, 8 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება
რომეო და ჯულიეტა
ოპერა 5 მოქმ., მუსიკა გუნოსა.
მონაწ. იღებენ: ქ-ნნი დონსკაია-ეიხენვალდი, ნიკიტსკაია, კარპოვა; ბ-ნნი დონსკოი, ევლახიშვილი, ტომაშევიჩი, ჩისტიაკოვი, ვოლსკი, დემიანენკო, შეინი, სურდისი.
ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
დირიჟორი ა. ე. ნაპრავნიკი.
უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
მზადდება წარმოსადგენად „ჩერევიჩკი", 4 მოქმედებიანი ოპერა, მუსიკა ჩაიკოვსკისა, და ოპერა ,,ფიგაროს ქორწინება'', მუსიკა მოცარტისა.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (გვერდზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
პ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ე. ე. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. გ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.
საღამოობით:
პ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი პ. ა. ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 ხუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

კიდევ ცენზურა?

უკანასკნელ დროის გამარჯვებათა შორის ერთი პირველ ადგილთაგანი ეკუთვნის ბეჭდვითი სიტყვის გამარჯვებას. მწერლობის თავისუფლება ერთი აუცილებელი პირობათაგანია კულტურულ განვითარებისა. ამიტომაც ხალხი მისთვის თავგამოდებით იბრძოდა და კიდეც დიდ გამარჯვებას მიაღწია.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გამარჯვება სრული არ არის. მართალია, პერიოდულ გამოცემებმა მოიპოვეს თავისუფლება და ცენზორის კლანჭებს თავი დააღწიეს, მაგრამ მწერლობა მარტო პერიოდულ გამოცემებით ხომ არ განისაზღვრება. ასეთ გამოცემათ თავისი ფარგალი და დანიშნულება აქვთ. და თუ მათ კვალდაკვალ არ მისდევს მწიგნობრობის ზრდა, თუ მათ არ ემატება სხვადასხვა შინაარსის წიგნები, მაშინ მწერლობა ცალმხრივია და ვერც დააკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას, ამიტომაც ხალხს არ შეუძლიან დაკმაყოფილდეს ნახევრო თავისუფლებით. საჭიროა სავსებით მოისპოს ის თავისუფლების შემხუთავი გონების პოლიცია, რომელსაც ცენზურა ეწოდება. თუ გაზეთებს ჩამოშორდა ცენზურა, წიგნებიც უნდა განთავისუფლდეს ამ გამათახსირებელ მუხრუჭისაგან.

ამისათვის სადღეისოდ მხოლოდ ერთი გზა გვაქვს. რამდენიც დრო მიდის, იმდენად ირყევა და სუსტდება ის რწმენა, რომ სახელმწიფო ძალა ყოვლის შემძლებელია. წინად უმრავლესობა იმ გზას ადგა, რომ საჭიროა ჯერ სახელმწიფო ძალა ხელთ ვიგდოთ და შემდეგ მისი შემწეობით განვახორციელოთ ჩვენი მისწრაფებანიო. ცხოვრების მსვლელობა არა ერთ ფაქტს გვაძლევს, რომლის საფუძვლით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არის მეორე გზაც გამარჯვებისაკენ,—ეს გზაა — გზა რევოლუციონური. ეს გზა არ უარჰყოფს პირველს, მაგრამ იმავე დროს გვიჩვენებს, რომ არაა საჭირო ვუცადოთ იმ მომენტს, როცა ხალხი სრული თვითმპყრობელი გახდება სახელმწიფოში. პირიქით, როცა ესა თუ ის ზომა ცხოვრების აუცილებელ საჭიროებად შეიქნება, როცა ამ ზომის განხორციელებას ელტვის ხალხის რომელიმე ძლიერი ნაწილი, მაშინ იგი პირდაპირ უნდა იქმნას განხორციელებული. რუსეთის მუშებმა რომ უცადონ კანონმდებლობითი გზით 8 საათის სამუშაო დღის განხორციელებას, მაშინ მათის მისწრაფების სისრულეში მოყვანა სათუო და საეჭვო საქმედ გახდება ახლო მომავლისთვის. და, აი, სწორედ ამიტომაც მუშები ასეთ გადაწყვეტილებას ადგებიან: არ დაუცადონ კანონმდებლობითი გზით მათის მოთხოვნის დაკმაყოფილებას,—პირიქით, პირდაპირ თვითონ განახორციელონ პრაქტიკულად ეს მოთხოვნა. მართლაც, მუშებმა არა ერთსა და ორს წარმოებაში უკვე განახორციელეს თავისი საწადელი. და რამდენადაც მუშათა შორის სოლიდარობა გაიზრდება, იმდენად მათი გამარჯვება საყოველთაო მოვლენად გახდება.

ავიღოთ მეორე ფაქტი. რთულ სახელმწიფოს მანქანაში დღემდის მოხელეები ითვლებოდნენ მხოლოდ მთავრობის ბრძანების აღმასრულებლად. მათ უფლება არ ჰქონდათ თავისი „მე" გამოემჟღავნებინათ. მოხელე მით უფრო კარგი და ღირსეული იყო მთავრობის თვალში, რაც უფრო მას შეეძლო შეგუებოდა და უტყვ მონად გახდომოდა მთავრობას. ასე იყო არა მარტო რუსეთში,—თვით საფრანგეთშიაც-კი მოხელეს არ ჰქონდა ის მოქალაქობრივი უფლებანი შეკავშირებისა და თავის მოთხოვნათა გამოთქმისა, რომელიც დანარჩენ მოქალაქეთ აუცილებელ კუთვნილებას შეადგენს. მაგრამ დადგა მომენტი, როცა მთავრობის ბიუროკრატიულ ბატონობას აქაც ბოლო მოეღო. საფრანგეთში მასწავლებლებმა და სხვა მოხელეებმაც განიზრახეს კავშირის დაარსება. ბურჟუაზიული მთავრობა შეკრთა, მაშინვე ბრძოლა გამოუცხადა ახალ მიმდინარეობას და კიდეც დროებით გაიმარჯვა პარლამენტში. გრაფმა ვიტტემ არ დატოვა უყურადღებოდ ეს ფაქტი და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირს მიუთითა: ხედავთ, თავისუფალ საფრანგეთშიაც არ იცნენ მოხელეთა კავშირი და თქვენ აქ გინდათ ასეთი კავშირი შეადგინოთო? მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოხელეთა კავშირი ძალიან შემცდარი იქმნება, თუ მთავრობის სანქციას მოუცადა და დღეს გულზე ხელები დაიკრიბა. ისეთი დრო, როგორიც არის ახლა რუსეთში, მოითხოვს მოქმედების რევოლუციონურ გზას. რამდენადაც ვიცით, მოხელეებიც ამ გზას დაადგნენ და, იმედია, კიდეც მიაღწევენ საწადელს.

იგივე გზაა საჭირო ძველებურ ცენზურის მოსასპობადაც. მხოლოდ აქ აუცილებელია ბეჭდვის საქმეში ყველა მომუშავეთა და მონაწილეთა შეთანხმება. მათი შეთანხმებული მოქმედება საშუალებას მოგვცემს გვერდი ავუხვიოთ ცენზურას და ამით გა-ვაუქმოთ იგი.

მაშ წინასწარ ურთიერთი შეთანხმება და ურთიერთი პასუხის-მგებლობა და ამის შემდეგ პირდაპირ წიგნების ნებადაურთველად ბეჭდვა,—აი, ეს არის დღეს აუცილებლად საჭირო.

პ. სურგულაძე

გაზ. „ვოზროჟდენიე"-ს გასაცნობად

როცა გაზ. ,,Возрожденіе'' პირველად გამოვიდა, საზოგადოებაში,—გეხსომებათ,—მან თავისი ვინაობა არავის არ გაუმჟღავნა, ამას დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ყველას ეინტერესებოდა გაეგო, ვინ იყო ახლად მოვლენილი ასული, [illegible] ტების ბანაკიდან იყო; სხვები ამას არ ეთანხმებოდნენ და გვარწმუნებდნენ: მას სრულებით არ ეტყობა მუშის ხეპრე მანერები,—პირიქით, ძალიან „დელიკატნური" ყოფა ქცევისა სჩანსო; მართალია, დასძენდნენ იგინი, „ბარიშნის" სიტყვა-პასუხი რევოლუციონური აქვს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს: დღეს ყველანი რევოლუციონერები არიან, გარდა ხულიგანებისა.

დრო მიდიოდა და ,,ბარიშნა'' პირბადეს არ იშორებდა, მარა ხანდახან მაინც ქალწულებრივის მოკრძალებით საარშიყო სიტყვებს ესროდა პროლეტარიატს. ბოლო ხანებში კი აშკარად დაეტყო, რომ იგი თანდათან ჰკარგავდა დარცხვენის გრძნობას; და, აი, ამ უკანასკნელ დღეებში პატარძალმა ისეთ-ისეთი მალაყების გადასკლა დაიწყო, რომ იძულებული ვართ შევნიშნოთ: надо и честь знать!

დავიწყოთ თუნდა იქიდან, რომ ამ სამიოდე დღის წინად დაბეჭდილ სტატიაში ,,Въ единеніи сила'' მოპატარძლებული „ვოზროჟდენიე" (№ 18) გვიქადაგებს, რომ მიუცილებლად საჭიროა, ყველა მოწინავე, რადიკალურ პარტიების შეერთება და რომ ეხლანდელი ისტორიული მომენტი თხოულობს: ,,გონიერებას, მოთმინებას, ადამიანის და ქვეყნიერობის ცოდნას, სიფრთხილეს, თანდათანობას!''

„ნუთუ ის კლერიკალების ოჯახში არის გაზრდილი?!"—გულ-ნატკენად წამოიძახეს ჩვენმა მკითხველებმა. მარა მოვუსმინოთ ქადაგებას:

,,ეხლა იმათთვის (პოლიტიკურ პარტიებისთვის) საჭიროა ახსოვდეთ ყოველთვის ერთი უცვლელი წესი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს,—ეს არის ისტორიულ თანდათანობის კანონი. საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესამჩნევი (значительный) რეზულტატები შესაძლებელია, მხოლოდ როგორც შედეგი მძიმე, თანდათანობითი განვითარებისა, მოთმინებითი შეგუებისა და სიფრთხილით მოხდენილ ცვლილებისა". ავტორს თითონაც თითქოს შეშინებია თავის სიტყვებისა და დასძენს: „ამიტომ, სრულიადაც უარყოფილი არ არის პარტიების შემდეგისათვის მუშაობა"-ო.

ამგვარი ქადაგება თუ ჯერ კიდევ არ არის კონტრ-რევოლუციის პოლიტიკა, დიდი მანძილი მაინც აღარ არის ამ უკანასკნელამდე. ყოველ შემთხვევაში, ამოწერილი სტრიქონები პირდაპირი განმეორებაა ამას წინად გრაფ ვიტტეს მიერ ნალაპარაკევისა „ზემცების" და ქალაქების მოლვაწეთა დეპუტაციის წინაშე.

რა თქმა უნდა, მოხსენებულ ქადაგებამ დიდი ეჭვი დაგვიბადა „ქალწულის" ზნეობის შესახებ და გადავწყვიტეთ მეტის ყურადღებით გვედევნებინა თვალი მისი ყოფა-ქცევისთვის. დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირვებია. მეორე დღესვე „ვოზროჟდენიე"-მ ასეთი მარგალიტები გამოჰფინა: „გუშინდელი მონები, ვინც ჩურჩულით ვლაცნებობდით უფლებებზე, დღეს თავისუფალნი ვართ. მაგრამ ვინა ვართ ჩვენ? განა ჩვენ შეგვწევს ნიჭიერება გავიგოთ და დავაფასოთ 17 ოქტომბერი? (თითქოს ამ დღეს მთელი ქვეყნიერობა გადმოტრიალებულიყოს!). ჩვენა ვართ პაწაწკინა ნაგლეჯი წყვდიადით მოცულ აუარებელ ხალხისა, რომელმაც არც წიგნი იცის და არც გაეგება რამე თავისუფლებისა.

„პიროვნების (კურსივი ავტორისაა) ხელუხლებლობა! დაგლეჯილ, დავრდომილ, მუდამ მშიერ და ველურ ადამიანისაგან ჯერ უნდა შევქმნათ პიროვნება, რადგან ის მხოლოდ მაშინ სცემს პატივს, როგორც თავის თავის პიროვნებას, ისე სხვებისას. გუშინდელი მონა დღეს თავისუფალი მოქალაქეა!

„მაგრამ რა თავში იხლის ამ თავისუფლებას, როცა მან ჯერ არც კი იცის ხეირიანად (толкомъ) დათესვა, მომკა, კომბოსტოს მოყვანა (სწორედ ასეა დედანში)... საჭიროა, რომ იგი პატივსა სცემდეს სხვის საკუთრებას, საჭიროა შევქმნათ ცხოვრების ისეთი პირობები, რომ მას აღარ მოუნდეს ძარცვა-გლეჯა, კაცის კვლა, ცეცხლის წაკიდება. საჭიროა გავანათლოთ გლეხები, საჭიროა დავამშვიდოთ მათი ბოროტებით აღსავსე გული".

ხომ დასტკბით, მკითხველო? კომენტარიები საჭირო არ არის.

ამგვარად, со ступенки на ступенку „ვოზროჟდენიე" შევიდა რეაქციონერთა ბანაკში და თავი დაუკრა... პობედონოსცევს.

ამ ხუთიოდე წლის წინად სინოდის ყოფილი ობერ-პროკურორი სწორედ „ვოზროჟდენიეს" სიტყვებით სწერდა ერთ ამერიკულ ჟურნალში პ. კრაპოტკინის საწინააღმდეგოდ,—რასაკვირველია, სხვა მიზნით, ვიდრე „ვოზ." ავტორი. პობედონოსცევი არწმუნებდა ამერიკა-ევროპას, რომ რუსეთში წარმოუდგენელია უფლებრივი წესყობილება, რადგან რუსეთის ხალხს არა გაეგება-რა თავისუფლებისა, პატივს არა სცემს სხვის საკუთრებას, რუსეთის ხალხი ჯერ ისევ ნახევრად ველურია და ბარბაროსულიო.

„ვოზროჟდენიე"-ს ზემოხსენებული წერილი რომ თავ. მეშჩერსკის გაზეთში გვენახა, რა თქმა უნდა, ყურადღებას არ მივაქცევდით, მაგრამ „ვოზ."-ს ფურცლებზე კი, სწორე გითხრათ,—ძალიან გვეუცხოვა. აქ არა იშვიათად იბეჭდება ხოლმე მეტად რადიკალური წერილები. აი, მაგ., იმავე მე 18 №-ში, იმავე ხულიგანურ-რეაქციონურ წერილთან დაბეჭდილია სტატია: „Кавказская жизнь и пресса". აქ ავტორი პირდაპირ ქადაგობს... სოციალიზმს! მაგრამ დამშვიდდი, მკითხველო, მართლა სოციალიზმი არ გეგონოს, ეს წერილიც რეაქციონურია, ცოტა სხვა ჯურისა კი, ეს რევოლუციონურ-რეაქციონურია, თუ შეიძლება ასე ვთქვათ.

პირველ წერილში, როგორც დავინახეთ, ავტორი ერთ ამბავშია იმის გამო, რომ გლეხობამ თავისუფლება მიიღო და ჯერ კომბოსტოს მოყვანაც კი არ იცის. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ, რომ გლეხებმა კომბოსტოს მოყვანა ისწავლონ; კომბოსტო სასარგებლო და გემრიელი ლეგიუმია (მცენარეა), მაგრამ კომბოსტოსა და თავისუფლებას შორის მაინცადამაინც დიდი კავშირი არ არის; თავისუფლება სხვა რამისთვისაც უნდა იყოს საჭირო. აი, ამ საკითხს „მეცნიერულად" არკვევს მეორე ავტორი.

უწინარეს ყოვლისა, როგორც შეეფერება „მეცნიერს", იგი, რასაკვირველია, აცხადებს, რომ ეკონომიურმა განვითარებამ გაბათილა „მარქსისტული დოგმა". და ამისათვის იმოწმებს არგუმენტაციას დაობებულ ეკონომისტებისას ვ. ვ.-სა და ნიკოლაი ონ—ის ბანაკიდან, რომელთა ნაწერებს უკვე ხელის სისქე მტვერი ადევს და რომელთაც თვითონ ავტორებიც კი უარს ჰყოფენ დღეს. ავტორი „ვოზროჟდენიე"-დან სწერს: „საწარმოვო ძალები, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, უმთავრესად მუშაობენ შინაურ ბაზრისათვის. გლეხთა ეკონომიური ცხოვრება,—აცხადებს გაზეთი—ეს არის უმთავრესი ღერძი, რომლის გარშემო ტრიალებს მთელი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება რუსეთისა და საქართველოსი". უნებლიედ იკითხავთ: ასე იყო ბატონ-ყმობის დროს და ნუთუ ასევეა დღესაც? ნუთუ რუსეთი და საქართველო ოდნავაც არ გასცილებია განვითარების „გლეხურ" სტადიას? მაშინ ხომ 17 ოქტომბერი ციდან ჩამოვარდნილი საკვირველება იქნებოდა? ის კი ცხადია, რომ თვითონ ავტორი არ გასცილებია ამ სტადიას და მისთვის ამაოდ ჩაუვლია ნახევარ საუკუნის განვითარებას ეკონომიურ ცხოვრებაში და აზრთა მოძრაობაში. ავტორი გვაუწყებს: „განახლებულმა რუსეთმა უწინარეს ყოვლისა, უნდა გადასწყვიტოს გლეხთა საკითხი. ყველა დანარჩენი პრაქტიკული მიზნები თანამედროვე მოძრაობისა მცირე მნიშვნელოვანია, ამ საკითხთან შედარებით. და სანამ ეს დიდად მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხი წესიერად არ იქმნება გადაწყვეტილი, იმ დრომდის ვერავითარი ძალა, ვერც „თავისუფალი კანონები" და ვერც ზარბაზნები ვერ ჩააყენებენ ცხოვრებას კულტურულ განვითარების ნორმალურ კალაპოტში"... съ нами крестная сила!

როგორ ესმის ავტორს გლეხთა საკითხი: „გარემოებათ გვაიძულეს დავდგომოდით ისეთ მოქმედებას, რომელიც გლეხებს დაიხსნის გაპროლეტარებისაგან. საშუალება გვიჩვენა თვითონ ცხოვრებამ—ეს არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციები, რომელნიც საშუალებას იძლევიან შემოღებულ იქმნას სხვილი წარმოება (მეურნეობა), დამყარებული საზოგადოებრივ საკუთრებაზე". რა თქმა უნდა, ასეთი წარმოება არის სოციალისტური წარმოება. ამ გვარად, თუ განახლებული რუსეთი აქვე, დღესვე, დაუყოვნებლივ არ განახორციელებს სოციალიზმს სოფლებში, მაშინ ვერც თავისუფალი კანონები და ვერც ზარბაზნები ვერ ჩააყენებენ ცხოვრებას კულტურულ განვითარების ნორმალურ კალაპოტში! ღმერთო, დაგვიფარე განსაცდელისაგან! და მერე,—თუ გლეხებმა ჯერ კომბოსტოს მოყვანაც არ იციან,—განა სოციალიზმის განხორციელება — თუნდაც ასეთი პატარა მასშტაბით, მარტო სოფლებში (ავტორი ძალიან ცოტას თხოულობს) — უფრო ადვილი არის, ვიდრე კომბოსტოს მოყვანა?! ვკითხავთ „ვოზროჟდენიე"-ს.

„ვოზროჟდენიე"-ს ვინაობა საკმაოდ გამორკვეულია. „ბარიშნა" არ ეკუთვნის არც მუშებს და არც მაღალ წრეებს. ის უბრალო „მეშჩანკა" ყოფილა, წვრილ ბურჟუაზიის ბღარტი. და როგორც საზოგადოდ წვრილი ბურჟუაზია, იგი მუდამ რყევაშია: ხან რეაქციაში გადახტება ხოლმე, ხან რევოლუციაში.

მაგრამ წვრილი ბურჟუობა კიდევ გასამართლებელი საბუთი არ არის მალაყებისა. ჩვენ ვიცით არა ერთი წვრილი-ბურჟუაზიული ორგანო, რომელიც მტკიცედ ადგას განსაზღვრულ პროგრამას. და თუ „ვოზროჟდენიე" მალაყებს არ მოიშლის, მისი ნამდვილი სახელი მალე იქნება „რაზვრაშჩენიე".

ვლ. დარჩიაშვილი.

პოლონეთის ამბები

ვარშავა-ვენის რკინის გზის მსახურთა მიტინგზე დაადგინეს შეატყობინონ ვიტტეს, რომ, სანამ პოლონეთში სამხედრო წესები, ცენზურა და ადმინისტრაციის თვითნებობა არ მოისპობა, სანამ 17 ოქტომბრის მანიფესტი არ განახლდება, სანამ პოლიტიკურ პარტიებს არ გაანთავისუფლებენ—რკინის გზები მუშაობას არ განაახლებენო. გარდა ამისა, სანამ პოლონეთს სრული დემოკრატიული ავტონომია არ მიენიჭება, ხალხი არ დაწყნარდებაო. ასეთივე დეპეშა გაუგზავნა პოლონეთის რკინის გზის მუშათა და მსახურთა კავშირის კომიტეტმა.

◆ სანამ პოლონეთში სამხედრო დროის წესებს შემოიღებდნენ, პეტერბურგიდან რუსეთის მთავრობას აუარებელი დეპეშები გაუგზავნია ბერლინში გერმანიის მთავრობისთვის, რომელსაც შესაფერი პასუხი მიუცია.

◆ მუშათა დეპუტატების საბჭომ პეტერბურგში 1 ნოემბერს შემდეგი რეზოლუცია დაადგინა: „ხელმწიფის მთავრობა ისევ დახოცილთა გვამებზე დაიარება: მან სამხედრო სამართალში მისცა მამაცი მეზღვაურები და სალდათები, რომელნიც თავის უფლებებისა და ხალხის თავისუფლების დასაცავად აღსდგნენ; მან ტანჯულ პოლონეთს სამხედრო წესების ყულფი მოაბა კისერზე. მუშათა დეპუტატების საბჭო მოუწოდებს პეტერბურგის სარევოლუციო პროლეტარიატს გამოუცხადოს თავისი ძმობა და სრული თანხმობა კრონშტადტელ სალდათებსა და პოლონეთის პროლეტარიატს მიტინგების გამართვით და საზოგადო პოლიტიკურ გაფიცვის მოხდენით, რომელმაც დაამტკიცა თავისი ძალა და მრისხანება.

◆ ვიტტემ სრულიად პოლონეთის დეპუტატებს უთხრა: „ტყუილად გგონიათ, ვითომ მთავრობას ძალა არ ჰქონდეს, აჯანყებისა ეშინოდეს და დათმობას აპირობდეს. პოლონეთში საომარ დროის წესებს შემოვიღებთ; რაც შეეხება რუსეთს, ნათლად დამტკიცდა, რომ საზოგადოება რეფორმებისთვის ჯერ მომზადებული არ ყოფილა. რუსეთის საზოგადოებას არავითარი თავისუფლება არა სურს. ახლა ცხადია, რომ თავისუფლება მხოლოდ ერთ მუჭა რევოლუციონერებს უნდათ. ახლა რუსეთში გაზაფხული დადგა, მაგრამ გახსოვდეთ, რომ შეიძლება მას რეაქცია მოჰყვეს".

◆ ვარშავის იურისტების დეპუტაციას ვიტტემ უთხრა: თქვენ განსაკუთრებულ კანონებისა და წესების გაუქმებას თხოულობთ, თქვენი მეფობრიკენი კი საომარ წესების შემოღებას თხოულობენ''. ერთმა დეპუტატმა ჰკითხა, ერთი მაგისთანა მეფობრიკის გვარი მაინც გვითხარითო, მაგრამ ვიტტემ უარი უთხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ სრულიად რუსეთის კავშირთა კავშირმა შემდეგი მოწოდება გამოსცა: „კავშირთა კავშირმა განიხილა რა მთავრობის ათას გვარი უკანონო საქციელი პოლონეთის მიმართ, რომელიც სამხედრო წესების შემოღებით დასრულდა, თავის მოვალეობად სთვლის რუსეთის საზოგადოების ყურადღება მიაქციოს ამ ძალმომრეობას. 17 ოქტომბრის შემდეგ რუსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობას 31 ოქტომბერს მთავრობამ დიდი შეურაცხყოფა მიაყენა, ახლა ეჭვი აღარ არის, რომ დიდის რიხით გამოცხადებული 17 ოქტ. მანიფესტი მთავრობამ თავისივე ხელით მოკლა. მთავრობამ რამდენიმე მილიონ მებრძოლს მოქალაქის ყოველივე უფლება წაართვა და ისიც კანონით კი არა, არამედ ადმინისტრაციის უბრალო განცხადებით. ასეთ ძალმომრეობას მთავრობა იმით ამართლებს, ვითომ პოლონელები მოხელეებს ხოცავდნენ. ეს სიცრუეა. 17 ოქტომბერს აქეთ პოლონეთში ტერორი თითქმის სულ მოისპო. სიცრუეა ისიც, ვითომ პოლონელებს დამოუკიდებლობა უნდოდეთ. „პროვ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია აუარებელი დეპეშა პოლონეთის ქალაქებსა და საზოგადოებებისა, საიდანაც სჩანს, რომ პოლონელები თხოულობენ მხოლოდ ავტონომიას, რაიც ბუნებრივი და სასართლიანი მოთხოვნილებაა. მთავრობა განზრახ ურევს ერთმანეთში ავტონომიას და სეპარატიზმს, რადგან ამით უნდა განხეთქილება შეიტანოს სარევოლუციო პარტიებში და შეუგნებელი ბრბო ევროპის მიერ გაქურდულ და დატანჯულ პოლონეთს მიუსიოს. მთავრობას უნდა გამანთავისუფლებელ მოძრაობის დაქსაქსვა და მისთვის ახალ კალაპოტის გამოჩენა; მაგრამ რუსეთის საზოგადოება არ მოტყუვდება. ის მშვენივრად იცნობს თავის მტრებსაც და მეგობრებსაც და მარტოდ არ დასტოვებს ბრძოლის ველზე თავის მეგობარს. რომელიც დღესაც მედგრად ებრძვის ხალხის მტერს. პოლონეთის შეურაცხყოფა მთელ რუსეთის გამანთავისუფლებელ მოძრაობის შეურაცხყოფაა; მისი ტანჯვა—ჩვენი ტანჯვაა, მისი ტკივილი—ჩვენი ტკივილია. კავშირთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს მტკიცედ სწამს, რომ რუსეთისა და პოლონეთის მებრძოლთა რაზმები უფრო მჭიდროდ და მეგობრულად შეკავშირდებიან, რათა რუსეთის ყველა ერებთან ერთად მედგრად და მამაცურად დაასრულონ დიადი ბრძოლა საყოველთაო თავისუფლებისათვის“.

✦ ვარშავაში და მთელ პოლონეთშიაც ხელმეორედ დაატუსაღეს განთავისუფლებული პოლიტიკური პატიმარნი და სახალხო მოღვაწენი; მათ შორის ცნობილი მწერალი პროფესორი სეროშევსკი, გრაფი ტიშკევიჩი, ვექილი პილიტოვსკი და სხ.

✦ გენერალ-გუბერნატორმა 1 ოქტომბერს ხუთი პოლონურ გაზეთის გამოცემა შეაჩერა.

✦ სამხედრო წესების შემოღებამ მთელი პოლონეთი აღაშფოთა და გააბრაზა. გაფიცვა უფრო გაძლიერდა. ხალხი მზად არის თავისუფლებისთვის საბრძოლველად. გენ. გუბერნატორმა სკალონმა დეპუტატებს გრაფ ტისკევიჩა და სხ. უთხრა, ქალაქიდან ჯარს არ გავიყვან, პირიქით, უფრო მოვუმატებო. ტიშკევიჩმა გააფრთხილა, შეიძლება მთელ პოლონეთს ცეცხლი მოედოსო. სკალონმა უპასუხა, სამაგიერო ხერხიც მაქვსო. ორი დღის შემდეგ ტიშკევიჩი დააპატიმრეს.

✦ ვარშავის გაზეთები სწერენ: „გაფრთხილდით! ვარშავაში კრუშევანი ჩამოვიდა და საქმეს შეუდგა. კრუშევანი ებრაელების აკლების მოწყობას აპირობს. მზად იყავით და თავი არ შეირცხვინოთ“! ვარშაველები მზად არიან. ებრაელებმა და პოლონელებმა რაზმები შეადგინეს და მზად არიან ხულიგანებს იარაღით გასცენ პასუხი.

წერილი მოსკოვიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

უკანასკნელ დღეებში მოსკოვში შავი რაზმი გაბატონდა. და საშინელი ამბებიც მოხდა პოლიციისაგან მოსყიდულნი და გამოთრობილი ქურდები და ხულიგანები გამვლელს, ვინც უნდა ყოფილიყო, თავს ესხმოდნენ და შეუბრალებლად სცემდნენ. სტუდენტურ ფორმაში სიარული შეუძლებელია. ჯაშუშები, რომელთაც სიმშილით მოელით, 17 ოქტომბრის მანიფესტით გაბოროტებულნი, აღელვებენ უგუნურ ბრბოს. „სტუდენტებს უნდათ ბატონ-ყმობა დააბრუნონო“—ავრცელებენ დაბალ ხალხში. მუშებში რასაკვირველია ამნაირ აგიტაციას არავითარი ნაყოფი არ მოაქვს; მაგრამ ყასაბი, წვრილმანი ვაჭრები და მედროგეები ადვილად იჯერებენ და მზადაც არიან დაერიონ ხალხს და ელეტი დაუწყონ. რა სიმხეცემდის მიდიან ეს უგულო და ტვინ-დაბნეულნი, იქიდანა სჩანს, რომ ერთს სტუდენტს ხიდთან თავს დაესხნენ და, როდესაც თავპირ დამტვრეული და რევოლვერით დაჭრილი სტუდენტი უგონოდ დაეცა, იგი ხიდიდან მდინარეში გადააგდეს; ცივმა წყალმა დაჭრილი გონზე მოიყვანა, იგი ცურვით ნაპირზე გამოვიდა და აქ გამხეცებული ბრბო ქვების სროლით და ჯოხების ცემით დახვდა; სტუდენტის გვამი ისევ წყალს მისცეს. შეიძლება ბევრი სხვა არა ნაკლებ საზარელი მაგალითების მოყვანა, მაგრამ ესეც საკმარისია პოლიციის და მისგან გაბრიყვებულ ბრბოს სიმხეცის დასახასიეთებლად.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ შავი რაზმელები მეტის-მეტად მხდალები არიან. გაიგონებენ თუ არა დამბაჩის ხმას, მაშინვე თავზარ-დაცემულნი აქეთ-იქით გარბიან და მათი შეგროვება მოთავეებს ძალიან გაუძნელდებათ ხოლმე. როდესაც რევოლუციონერების დრუჟინა შეხვდებოდა შავ რაზმს, უკანასკნელი, რამდენიმე სროლის შემდეგ, ზურგს იბრუნებდა და მოჰკურცხლავდა ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ „დრუჟინაში“ ხან 10 და ხან ცოტა მეტი კაცი იყო ხოლმე. ერთად-ერთი მაგალითი შავი რაზმის გულადობისა მოხდა „ინჟინრების“ სასწავლებელთან.

რამდენიმე ასი კაცი ქვების სროლით გაემართა სასწავლებლისაკენ და მისი გაძარცვა და დანგრევა უნდოდა. 20 შეიარაღებული სტუდენტი სასწავლებლის წინ გამწკრივდა და ჰაერში დამბაჩები დაჰცალა, მაგრამ ბრბო არ შეშინდა და [illegible] გაიმართა წინ. მაშინ სტუდენტებმა სეტყვასავით დააყარეს ტყვია და 10 წუთის შემდეგ ბრბოს კუდით ქვა ასროლინეს. ადგილზე ექვსი მკვდარი და 30 დაჭრილი შავი რაზმელი დარჩა. საყურადღებოა, რომ ამ სურათს კაზაკების ბატალიონი გულ-დამშვიდებით უმზერდა,—საერთოდ, შავი რაზმელებისგან უფრო ბევრია დაშავებული, ვიდრე ინტელიგენტებისგან. მხოლოდ უნივერსიტეტთან, სადაც შავ-რაზმში გადაცმული კაზაკები იყვნენ, ბევრი სტუდენტი მოჰკლეს და დასჭრეს. ეს მოხდა ბაუმანის დამარხვის შემდეგ. ამ დამარხვაზე დაესწრო 150 ათასზე მეტი კაცი და ქალი. რასაკვირველია, შავი რაზმი მათზე თავდასხმას ვერ გაბედავდა, და როდესაც დაღალული სტუდენტები სასაფლაოდან დაბრუნდნენ და უნივერსიტეტს მიუახლოვდნენ, შავმა რაზმმა მანეჟის მხრიდან, რომელიც ამ საღამოზე არ გაანათეს, რევოლვერებიდან სროლა დაიწყო. სტუდენტებმა უპასუხეს და ერთ წამს გაფანტეს იგი. მაგრამ შავ რაზმს კაზაკები მიეშველნენ და ბერდანკები დაუშინეს სტუდენტებს. ბევრი მოკლეს და ბევრიც დასჭრეს. ამ საქმეს გამომძიებელი იკვლევს. საერთოდ, უკანასკნელ დღეებში ქუჩაზე სიარული საშიში იყო. სახლიდან რომ გამოდიოდი, არ იცოდი, ცოცხალი მობრუნდებოდი, თუ არა.

ეს ორი სამი დღეა, რაც ცემა-ტყეპა შესწყდა მოსკოვის ქუჩებზე, მაგრამ მიუხედავად ამისა უფრო საშიში ხმები დადის. ამბობენ, რომ „პატრიოტებს“ ჰსურთ მოსკოვში ბართლომეს“ ღამე გამართონ არა მარტო ებრაელების ამოსაწყვეტად, არამედ ყველა პოლიტიკურ მოღვაწეთა და იმ პოლიტიკურ „დამნაშავეთა“ გასაჟლეტადაც, რომელნიც ეხლა ციხიდან გაანთავისუფლეს. ამ ხმებს ერთი გარემოება უფრო ამართლებს. მეეზოვეები და პოლიციელები ამ უკანასკნელ ორ დღეში დადიოდნენ და ჰკითხულობდნენ: სადა დგანან ებრაელები, სტუდენტები და სხვანი. ეს ხმები, ჩემის აზრით, შიშის ან რამე სხვა მოსაზრების ნაყოფია, მაგრამ არც შეუძლებელია. ჩვენ ვიცით, რომ შავი რაზმი შესდგება დვორნიკებისა და ჯაშუშებისგან. იმათ თავისი კომიტეტიცა ჰყავთ, ამ კომიტეტს ჰქვიან: „კავშირი რუსებისა“. უეჭველია ამ კომიტეტში, გრიგმუნტისთანა სუბიექტების გარდა, არა ერთი პოლიციელი იმყოფება.

ამ პოლიციელებმა, ჯაშუშებმა და მეეზოვებმა მშვენივრად იციან, ვინ სადა სცხოვრობს, ესე იგი, მოძრაობაში მონაწილეობას იღებს, თუ არა. ერთი სიტყვით რუსეთში შეუძლებელი არა არის რა! ეს ებრაელების და ინტელიგენტების ამოჟლეტა ვითომ უნდა მოხდეს ხვალ ღამ, შაბათს, 29 ოქტომბერს. თითქმის ყველა ჩვენგანი შეიარაღებულია, ამის გარდა სოციალისტ-რევოლიუციონერებს რამდენიმე ასი შეიარაღებული კაცი ჰყავთ, ისე რომ, თუ მოხდა რამე, შავ რაზმს კარგი დღე არ დაადგება.

ზ. ნ.

დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ

ჩვენ მივიღეთ დაზარალებულ გურულთა სა[illegible] და ვას. როსტ. ყიფიანისაგან 10 მან, სულ 70 მან. წინად შემოწირულთან ერთად 256 მან.

ახალი ამბავი

ტფილისის დედათა **მე 4 გიმნაზიის მოწაფეებს** კვირას, 6 ნოემბერს, ჰქონდათ საერთო კრება, რომელზედაც **მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლუცია**: „ჩვენ, ტფილისის დედათა მე-4 გიმნაზიის მოწაფეები, მოვუწოდებთ ტფილისის ყველა სასწავლებლების მოწაფეებს, მხარი დაგვიჭირონ და ჩვენთან ერთად ბოიკოტი გამოუცხადონ ტფილისის საიუნკერო სასწავლებლისა და კადეტთა კორპუსის მოსწავლეებს, რადგანაც კადეტთა კორპუსისა და საიუნკრო სასწავლებლის მოსწავლენი წინ ეღობებიან რუსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობას, რაიცა გამოიხატა იმაში, რომ მათ 22 ოქტომბრის საშინელ სისხლის ღვრაში მონაწილეობა მიიღეს, სცემდნენ და ესროდნენ ჩვენს თანამოძმე-ამხანაგებს. ამასთანავე ჩვენ, ზემოხსენებულ გიმნაზიის მოწაფენი, ბოიკოტს ვუცხადებთ იმ შეგირდებსაც, რომელნიც ამიერიდან რაიმე საერთო კავშირს იქონიებენ კადეტებთანა და იუნკრებთან, და ვსთხოვთ ჩვენს თანამოაზრე ამხანაგებს, რომ ისინიც აგრევე მოიქცნენ. გახსოვდეთ და ნუ დაივიწყებთ, ამხანაგებო, რომ ის, ვინც ჩვენთან არ არის და ვინც ჩვენ არ თანაგვიგრძნობს,—მტერია სიმართლისა და განმათავისუფლებელ მოძრაობისა“.

✦ ბათომის გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკ“, ადგილობრივ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, „რევოლუციონურ მიმართულებისათვის“ შეჩერებულ იქმნა, ვიდრე იქ სამხედრო წესი მოქმედობს. ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი ა. ნიკიტინი, იმავე გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ასტრახანში იგზავნებოდა ადმინისტრატიულ წესით. ა. ნიკიტინმა დეპეშით საჩივარი განუცხადა კავკასიის ნამესტნიკს და სთხოვა გენერალ-გუბერნატორის განკარგულების გაუქმება. რედაქციის წევრებმა კი გრაფ ვიტტეს გაუგზავნეს დეპეშა. ქალაქის საბჭომაც დაადგინა: იშუამდგომლოს კავკასიის ნამესტნიკის წინაშე.

1 ნოემბრიდან ბათომში ახალი გაზეთი გამოდის „ბათომის ფურცელი“, ბ-ნ სანდეცკის რედაქტორობით (ა. ნიკიტინის სტამბის იჯარადარია). ეს ახალი გაზეთი „ჩერნ. ვესტ.“-ს ხელისმომწერლებსაც ეგზავნებათ.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, გენერალ-გუბერნატორის განკარგულება ნამესტნიკს გაუუქმებია.

✦ უმაღლესის განკარგულებით, ამიერკავკასიისა და კავკავის გზაზე **სამხედრო წესები გაუქმებულ იქმნა.**

✦ 6 ნოემბერს, დილის 9 საათზე, **გენერალი მალამა ტფილისში დაბრუნდა.**

✦ როგორც ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, სოციალ-დემოკრატებისა, სოციალ-რევოლუციონერებისა და სხვათა თაოსნობით, **ნაძალადევის მცხოვრებთ შეუდგენიათ თავის დამცველი რაზმი.** რაზმში 900 კაცი [illegible]. მთელი ნაძალადევი რაიონებათაა დაყოფილი და თითოეულ რაიონს მორიგი რაზმელები ჰყარაულობენ. ორგანიზაციები ქალაქს ქონებრივ დახმარებასა სთხოვენ.

✦ გუშინ, 7 ნოემბერს, ხმ. თამამშევმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა **დამატებითი განცხადება ტფილისში მცხოვრებთა დამცველ თავისუფალ მილიციის დაარსების შესახებ.** ბ-ნი თამამშევი ამბობს, ტფილისი 36 საყარაულო უბნად უნდა გაიყოს, და აღნიშნავს, თუ რომელ საპოლიციო უბანში რამდენი საყარაულო უბანი უნდა იყოს, რამდენი დრუჟინა და რამდენი კაცი. დრუჟინაში მონაწილენი ამორჩეულნი უნდა იქმნენ განსაკუთრებით მცხოვრებლების მიერ. რადგან საგანი მეტად სერიოზულია და მთავრობის მხრივ დაბრკოლებაც არ იქნება,—სწერს ბ-ნი თამამშევი,—წინადადებას ვაძლევ საბჭოს, დაუყოვნებლივ აირჩიოს კომისია მილიციის ორგანიზაციისა და ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ საგნის შესამუშავებლად.

✦ შაბათს, 5 ნოემბერს, ტფილისში მუშებმა შეიპყრეს ორი კაცი, რომელნიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ტფილისის კომიტეტის სახელით ფულს აგროვებდა ვითომდა ამ კომიტეტის სასარგებლოდ. ერთი მათგანი, როგორც ეტყობა, მალაკანია, მეორე—ქართველი. მუშებმა ამოირჩიეს თავიანთ შორის რამდენიმე კაცი, რომელთაც ამ ორ დღეში უნდა გაასამართლონ შეპყრობილნი.

✦ ტფილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულის საქალაქო სასწავლებლის **მასწავლენი** დღეს, 8 ნოემბერს, დილის 10 საათზე, **იწვევენ** სხვა სასწავლებლების მოწაფეებსა და მშობლებს **საერთო კრებაზე დასასწრებლად** ხსენებულ სასწავლებლის შენობაში, ნაბერეჟნაია ქუჩაზე, ვაჟთა მე-2 გიმნაზიის მახლობლად.

✦ 31 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრებაზე, ერთი ორატორი, ტომით თათარი, შეეხო ტფილისში გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, **ვითომ თათრები სომხეთა ამოხოცვას აპირობენო,** და სთქვა: ეს ხმები პროვოკატორების მიერ არის გავრცელებულიო. როდესაც კრების შემდეგ საბჭოს დარბაზიდან გასულა ორატორი თათარი, სამი კაცი დასცემია თავს, როგორც თვითონ ამბობს, ტომით სომეხნი. ეს ამბავი თათარმა 6 ნოემბერს სოციალისტ-ფედერალისტთა მიტინგს აცნობა. ბიურო დაჰპირდა საქმის დაწვრილებით გამოკვლევას.

✦ ქალაქის გამგეობის წევრმა ტ. ა. ენფიანჯიანცმა ქალაქის გამგეობას გადასცა ყველა ის საქმეები, რომელიც მის ხელში იყო, სხვათა შორის ისეთი საქმეები, რომელიც 1903 წელს უნდა გადაწყვეტილიყო, როგორც, მაგალითად, საქმე ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის „სვეტ“-ის მიერ ნაძალადევში ქალაქის მიწის მითვისების შესახებ. ამბობენ, ბ-ნი ენფიანჯიანცი გამგეობის წევრობას თავს ანებებსო.

✦ ტფილისის **გუბერნატორი საყოველთაოდ აცხადებს**, რომ „ამიერიდან ძალა დაკარგული და

ფელიეტონი

—

დანგრეული კერპი

ეს წარსული ამბავია, მაგრამ ყველა იმას, რაც მაშინ მოხდა, ეხლაც წყევლა-კრულვით იგონებს ყველა. იგონებს იმისთვის, რომ ძნელათ ავიწყდება ხალხის გულს თვისი დაჩაგვრა, შეურაცხყოფა, ტანჯვა. და მან ხომ ყველა ესენი გამოიარა და აჰა, ძლივს, ძლივს ასწია ახლა თამამათ მაღლა თავი, რომ დახედოს კერპის ნანგრევებს, დაადგას ზედ ფეხი და უთხრას: გაჰქრა, წავიდა ის დრო, როდესაც ბრძანებლობდი. შენ, უბედურო, არ გეჯერებოდა შენი ბოლო!

მართლაც და რამდენადაც მომთმენი ყოფილა ხალხი, იმდენად შეუბრალებელი, როდესაც მის მოთმინებას ხმარობენ ბოროტად.

დიაღ, ეს წარსული ამბავია, იმდენად წარსული, რომ, თუმცა ქრისტიანობა კარგა ხნის შემოღებული იყო, მაგრამ ბარბაროსობა მაინც მეფობდა. მეფობდა მით უმეტეს, რომ თვით ქრისტიანებსაც კარგად არ ესმოდათ რომელ ღმერთს ემსახურებოდნენ.

აი, ეს ამბავი როგორ მოხდა: ერთს სოფლის განაპირას მშვენიერ ბორცვზე ამართულიყო კერპი. მის სიდიადეს, მკაცრ სიძლიერეს, ბრძანებლობას უფრო მეტად აძლიერებდა მის გარშემო უდაბური ტყე, რომელიც სავსე იყო სხვადასხვა საშიშ მხეცებით და შხამიან გველებით. ხალხი ამ ადგილს კერპის სამშობლოდ სთვლიდა, ის შორიდან სცემდა მას თაყვანს, შორიდან, ხმა ამოუღებლად, ასრულებდა ყოველსავე მის ბრძანებას და, როგორც განგებისაგან მოვლენილ ღმერთს, ემორჩილებოდა. ემორჩილებოდა ტანჯვით, ცრემლებით, კვნესით. ვერ ბედავდა იგი კერპთან მისვლას, ვერ ბედავდა შორიდამაც მის გამოხმაურებას. კერპთან კი მხოლოდ სცხოვრობდა რამდენიმე ქურუმი, რომლებიც გადასცემდნენ ხოლმე დაჩოქილ ხალხს ღმერთის ბრძანებას.

დღითი-დღე აუტანელი ხდებოდა ეს ბრძანება ხალხისთვის. რაც დრო გადიოდა, კერპი ერთიორად აორკეცებდა თავის სიმკაცრეს, და მასთან ერთად ხალხის მოთმინებაც უახლოვდებოდა საზღვარს, რომლის იქითაც შეუძლებელი-ღა იყო გაჩუმება, ქედის მოხრა, ღმერთის მორჩილება. ხალხი ეძებდა საშუალებას მის ბრჭყალებიდან გამოსახსნელათ, კერპი კი აძლიერებდა თავის სიმკაცრეს ხალხის დასამორჩილებლად, დასამონავებლად. აივსო მოთმინების ფიალა. ვეღარ შესძლო ხალხმა ყოველ დღიური ხარკი გაუმაძღარ კერპისთვის, ვეღარ აიტანა ცრემლი, ვეღარ აიტანა კვნესა; აშფოთდა იგი, გამძვინვარდა კერპი, ამხედრდნენ მისი ქურუმები. ბრძოლა აშკარა იყო. უნდა გადაწყვეტილიყო სიკვდილ-სიცოცხლე სოფლისა.

ბევრი, ძალიან ბევრი თამამი და თავგამოდებული დაიღუპა უდაბურს ტყეში; ბევრმა დალია სული მხეცების კლანჭებში, ბევრმა ხალხის შვილმა გააპოხიერა მიწა თავისი სისხლით, მაგრამ არც ერთი წვეთი სისხლისა არ იკარგებოდა ამაოდ, არც ერთი წვეთი ცრემლისა არ ქრებოდა უნაყოფოთ. ყოველი მოქნეული მკლავი იკაფავდა წინ უღრან ტყეში ბილიკს, რომელზედაც ხალხის კვნესა აბობოქრებულ ზვირთივით მიისწრაფოდა წინ კერპისაკენ. ამ დაკოჟრებულ, ეკალ-ნარისაგან დასერილ ხელებს ეჭირათ დროშა სიმართლისა, სიყვარულისა. ხალხი გრგვინავდა დაჭრილ ლომივით, მის თავზე ფრიალებდა თამამი დროშა. და აჰა, არ გაჰქრა ამაოდ მისი მისწრაფება, მისი სურვილი. მალე ათიათასმა აწვდილმა ხელმა დასცა ძირს შეუბრალებელი კერპი, რომელსაც ქვეშ მოყვნენ მისი ქურუმნიც.

მორჩა... შეიმუსრა ის, რაც დიდი ხანი ამტვრათ უნდა ქცეულიყო.

დიაღ, მოთმინებიდან გამოსულ ხალხს სცოდნია შურისძიება.

მის სიხარულს კერპის ნანგრევებიდან ბანს აძლევდა მხოლოდ ქურუმთა კვნესა...

ხალხმა გაიმარჯვა...

ი. ევდოშვილი.

ეროვნული საკითხი და ავტონომიური წყობილება რუსეთში *)

(ქალაქებისა და ერობათა წარმომადგენლების კრებაზე წაკითხულ მოხსენებიდან)

იმ ძლიერ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც მთელ რუსეთს მოედო, მიზნად მხოლოდ სამოქალაქო თავისუფლების და დემოკრატიულ წესწყობილების შემოღება როდი აქვს. რუსეთი მცხოვრებთა ეროვნების მხრივ, ეკონომიურად და გეოგრაფიულად ერთი არ არის,—იგი მხოლოდ პოლიტიკურად არის გაერთიანებული. რუსეთის ზოგიერთი ნაწილი წინედ ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ყოფილა ან მეზობელ სახელმწიფოთა ნაწილს შეადგენდა.

ბიუროკრატიულ მთავრობის ცენტრალისტურმა და გამრუსებელმა პოლიტიკამ, რომელმაც მიზნად დაისახა ძალადობით ყოველივე სხვადასხვაობის მოსპობა, მიზანს ვერ მიაღწია და მხოლოდ გააძლიერა ეროვნული განხეთქილება და ცენტრალისტობის საწინააღმდეგო მისწრაფება გააღვიძა. ამიტომ, საერთო პოლიტიკურ მოძრაობასთან ერთად, რუსეთის განაპირა ადგილებში, საერთო დემოკრატიულ მოთხოვნილებას გარდა ითხოვენ, რომ ავტონომიურ წესწყობილების დამყარებით უზრუნველ ყოფილ იქმნას მათი ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლება. როდესაც მომავალ რუსეთზე ვსჯელობთ, ამ მოთხოვნილებასაც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, ვინაიდან რომელიმე ერში ძალად ამა თუ იმ პოლიტიკურ წესწყობილების შემოღება, მის საჭიროებასთან და სურვილებთან შეუთანხმებლად ცხოვრების შეცვლა,—უსამართლოც არის და საზარალოც. და ასეთი პოლიტიკა განსაკუთრებით კონსტიტუციურ სახელმწიფოში არის საშიში. ამნაირად, რუსეთში წესწყობილების გამოცვლის საკითხი კიდევ ეროვნულ საკითხით რთულდება.

ზემოხსენებულ მისწრაფებას ეროვნულ და ადგილობრივ თავისუფლებისადმი, რამდენადაც ვიცით, ჯერ კიდევ დაწვრილებით პროექტების შედგენა არ მოჰყოლია, მაგრამ აქა იქ ამ მისწრაფებამ გარკვეულ ფორმულების სახე მიიღო.

ეროვნულ უფლებათა და ავტონომიის საკითხი, როგორც მოსალოდნელიც იყო, უფრო პოლონეთის პროგრამებშია მოხსენებული. პოლონელების აზრით, ეროვნებათა დამოუკიდებლობის დასამყარებლად რუსეთის ძირითად კანონებში ასეთი მუხლების შეტანაა აუცილებელი:

ნაწ. I. § 2.—იმ ნაწილებისთვის, სადაც ავტონომია არის შემოღებული, სრულიად რუსეთის საერო კრება კანონებს არ სცემს, საერთო კანონები ამ ნაწილებს ეხება მხოლოდ იმ საგნებში, რომელიც მის ავტონომიურ დაწესებულებათა უფლებას აღემატება.

ნაწ. II. § 1.—ყოველს ეროვნულ **ჯგუფებს** ეძლევა უფლება დაიარსოს თავისი სასწავლებლები, სადაც სწავლება დედა-ენაზე იქმნება, და აგრეთვე ყოველნაირი ეროვნული საზოგადოება და დაწესებულება.

§ 2. იმ ადგილებში, სადაც სხვადასხვა ეროვნება არის დასახლებული, სასამართლოსა, სასწავლებელსა და ადმინისტრაციაში ყველა ეროვნების ენა თანასწორ უფლებიანია.

პოლონეთის ავტონომია.

§ 1. პოლონეთს რუსეთთან აერთებს საერთო ხელმწიფე, ავტონომიური კონსტიტუცია ცალკე სეიმით და ცალკე დეპუტატები სრულიად-რუსეთის საკანონმდებლო კრებულში.

§ 2.—პოლონეთის ავტონომიურ სეიმს არ ეხება და სრულიად რუსეთის საერო კრებას ექვემდებარება შემდეგი საქმეები:

ა) ხელმწიფის პირადი ხარჯები.

ბ) საზღვარ-გარეთის საქმეები, პოლიტიკური და სავაჭრო ხელშეკრულება.

გ) ფულის ჭრა.

დ) ჯარი, სტრატეგიული გზები და შენობები.

ე) კანონმდებლობა, რომელიც შეეხება ბაჟებს, აქციზს, რკინის გზებს, ფოსტას, ტელეგრაფსა და ტელეფონსა.

შენიშვნა. ამ საქმეების გამგეობა პოლონეთის ხელში იქნება.

§ 3.—საერთო საქმეების ხარჯები პოლონეთს ხდება მის მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით.

§ 4.—სეიმის და პოლონეთის ავტონომიის კომპეტენციას ეხება ყველა საქმე, რომელიც § 2 ჩამოთვლილი არ არის.

§ 5.—სამოქალაქო უფლებათა და თავისუფლების გარანტიებს ძალა პოლონეთშიაც არ ესპობა. თავის საზღვრებში პოლონეთის სეიმს შეუძლიან ამ უფლებათა გაფართოვება.

§ 6.—სეიმისაგან შემუშავებულ კანონებს ხელმწიფე ამტკიცებს. ხელმწიფისა და სეიმის შუაკაცად იქნება სტატს-სეკრეტარი, რომელიც ხელს აწერს ხელმწიფის ყველა გადაწყვეტილებას და სეიმის წინაშე პასუხის-მგებელია. პოლონეთში გამგეობის სათავეში ხელმწიფისაგან დანიშნული ნამესტნიკი დგას.

რაკი პოლონეთის საზღვრებში არა-პოლონელებიც ცხოვრობენ: მალოროსები და ლიტოველები, ამიტომ პოლონელებმა თანხმობა განაცხადეს, რომ შეცვლილ იქმნას პოლონეთის საზღვრები და ეს შეცვლა ხსენებულ ადგილებში მცხოვრებთა გადაწყვეტილებით ხდებოდეს.

კავკასიაში ავტონომიის შესახებ მსჯელობა ქუთაისის ქალაქის საბჭოს ჰქონია და იქ გადუწყვეტიათ:

1. ჩვენის კულტურულ და ეროვნულ განვითარებისთვის საჭიროა მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაცია.

2.—განაპირა ადგილებში დეცენტრალიზაცია უნდა გამოიხატებოდეს ფართო თვითმართველობის შემოღებით, ე. ი. ავტონომიით, რომელსაც არ უნდა დაეკარგოს კავშირი რუსეთის სხვა ნაწილებთან.

3.—საქართველოს ავტონომიას უნდა ჰქონდეს სეიმი ტფილისში. ამ სეიმის წარმომადგენლები ხალხმა უნდა აარჩიოს თანასწორის, საყოველთაო, პირდაპირ და ფარულის კენჭის ყრით და მისი სტატუტი უნდა შეიმუშავოს ადგილობრივმა დამფუძნებელმა კრებამ.

4. საქართველოს ავტონომიური კონსტიტუცია სრულიად-რუსეთის პარლამენტში დამტკიცებული უნდა იქმნას.

5. საქართველოს ავტონომიურ ერთეულს შეადგენს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ზაქათალისა და სოხუმის ოლქები და ბათუმის მხარე.

6. საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებათა უმცირესობა თანასწორ უფლებებით უნდა იყოს აღჭურვილი.

7. ცენტრალურ საკანონმდებლო კრებულში კავკასიულებისაგან მონაწილეობის მისაღებად სასურველია, რომ ტერიტორიული პრინციპი იყოს აღიარებული.

8. სრულიად-რუსეთის და ადგილობრივ დამფუძნებელ კრებათა მოწვევა ერთსა და იმავე დროს უნდა მოხდეს. საქართველოს დამფუძნებელი კრება უნდა შესდგეს ტფილისში.

მალოროსებისაგან რამოდენიმე განცხადება იყო წარმოდგენილი. „უკრაინის დემოკრატიულმა პარტიამ“, მაგ., შემდეგი პლატფორმა წამოაყენა:

1. რუსეთი ფედერატიულ პრინციპზე აგებული უნდა შეიქმნეს; ამ ფედერაციას საფუძვლად უნდა დაედოს ეროვნულ-ტერიტორიული სხვადასხვაობა; გამგეობის ყველა ნაწილში შემოღებულ უნდა იქმნეს სრული დეცენტრალიზაცია; საარჩევნო პრინციპი,—საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრაზე აშენებული, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა.

სახელმწიფოს ცენტრალური პალატა ორ ნაწილისაგან შესდგება:

ა) წარმომადგენელთა პალატა და ბ) ავტონომიურ ნაწილების წარმომადგენელთა ფედერატიული პალატა.

2) პარლამენტი სწყვეტს ომის და ზავის საკითხს, საერთო ბიუჯეტს, საერთაშორისო საქმეებს და გარეშე სახელმწიფოებთან კავშირების და ხელშეკრულობის საქმეებს და აგრეთვე სავაჭრო ხელშეკრულებებს, რომელთაც მთელ სახელმწიფოსათვის მნიშვნელობა აქვთ.

უკრაინის ავტონომიის საფუძველი

1) უკრაინას თავისი ცალკე და დამოუკიდებელი წარმომადგენლობითი მმართველობა აქვს, რომელსაც საკანონმდებლო უფლება ენიჭება ავტონომიურ-ტერიტორიის საზღვრებში.

2) უკრაინის სეიმს არ ექვემდებარება მხოლოდ ის საქმეები, რომელიც ზემოდ აღნიშნულია...

ა) ადგილობრივი თვითმართველობა ენიჭება ყველა იმ სოფლებსა და ქალაქებს, რომელნიც ცალკე ერთეულს წარმოადგენენ. ეს თვითმართველობა დეცენტრალიზაციის პრინციპზეა აგებული.

უკრაინის ყველა მცხოვრებელს სწორი უფლება ეძლევა, განურჩევლად ეროვნებისა,

---

*) აქ მოყვანილი მოხსენება, წაკითხული ერობათა და ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე მოსკოვში, გადმოგვცემს ამ კრების წევრთა აზრს ეროვნულ საკითხის შესახებ და ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ყველასთვის, ვისაც უნდა რუსეთში მომავალ პოლიტიკის მოღვაწეთა შეხედულება გაიგოს.

ეროვნული

გაუქმებულია განსაკუთრებული დადგენილებანი, გაძლიერებულ დაცვის წესით გამოცემული, სახელდობრ: დადგენილება ყრილობების შესახებ, 1902 წლის 18 იანვარს გამოცემული, დადგენილებანი მეეზოვეების შესახებ, გამოცემული 1901 წლის 15 ნოემბერს, იარაღის ტარების შესახებ, გამოცემული 1905 წლის 8 აპრილს“.

◆ კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებისამებრ, სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქმნენ ოზურგეთის მაზრის მცხოვრებნი: 1) ერმილე კალანდაძე, 2) მირიან ბუკია, 3) ვლადიმერ მეგრელიძე, 4) ვლადიმირ მენაღარიშვილი, 5) გიორგი ზენაიშვილი, 6) ილიკო პატარავა, 7) ლეონტი კალანდაძე, 8) ნესტორ ლომთათიძე, 9) მიხეილ ბუკია, 10) ნიკიფო ურუშაძე, 11) ანატოლი ანდღულაძე, 12) იასონ ჟღენტი, 13) გიორგი კალანდაძე, 14) მირიან ლომთათიძე, 15) სილიბისტრო თავართქილაძე, 16) არსენ მახარაძე, 17) იასონ ბუჭულაძე, 18) ირაკლი მეგრელიშვილი, 19) ვარლამ კალანდაძე, 20) ვლადიმირ კალანდაძე, 21) იესაკა გოგუაძე, 22) ივანე სიკორია, 23) იოსებ მეგრელიშვილი, 24) დიმიტრი კალანდაძე, 25) ექვთიმე ბერჩხა, 26) ვიქტორ ღლონტი, 27) ნოე მდივანი და 28) ვარდენ კალანდაძე.

ყველა ამათ ხუთი წლით გადასახლება ჰქონდათ გადაწყვეტილი მთავრობის მოწინააღმდეგობისათვის.

◆ ერევნისა, პლასტუნისა და გრუზინსკის პოლკის **ეშელონები** თავის ბარგი-ბარხანით გზიდან დაბრუნდნენ. დღეს, 7 ნოემბერს, გამოვა გრუზინსკის პოლკის უკანასკნელი ეშელონი.

◆ მომავალ პარასკევს სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, რამდენისამე საგნის განსახილველად, **კრება ექნებათ ტფილისის მოქალაქეთა საზოგადოების წევრთ.**

◆ ღამის ცხრა საათს იქით ტფილისის მეეტლეები მგზავრს უარს ეუბნებიან ნავთლუღში წაყვანაზე, რადგან **გზაზე სათადარიგო ჯარის კაცნი გვიხვდებიან და ჩვენცა და მგზავრებსაც გვძარცვავენო.**

◆ როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, სამტრედიის სადგურზე სალდათებს **ბევრი ვაგონი გაუძარცვავთ.**

◆ ტფილისიდან კავკავს წავიდ მეექვსე უბნის ბოქაულად ნამყოფი გლებოვი, **საგანგებო მინდობილებით...**

◆ კვირას, 6 ნოემბერს, **ნოქართა მიტინგი** არ მოხდა და მომავალ კვირისთვის გადაიდო.

◆ ტფილისის გუბერნატორი სთხოვს გორისა და დუშეთის მაზრის მარშლებს, **დაუყოვნებლივ მოიწვიონ კრებები** ადგილობრივ მკვიდრთაგან წარმომადგენლების ასარჩევად კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ რჩევაში მონაწილეობის მისაღებად.

◆ სუფსასა და ნატანებს შუა, მე—52 ვერსზე, 12 ოქტომბერს უნახავთ სამის მოკლულ კაზაკის გვამი.

◆ ბ-ნი ის. ალხანაშვილი ამხანაგების მინდობილობით გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 22 ოქტომბერს მოკლულის, რკინის გზაზე მოსამსახურე ლევან ბებუროვის სახლობის სასარგებლოდ ამხანაგებში შეგროვილი 55 მ. და 66 კაპ. ბებუროვის ქვრივს უკვე გადაეცა.

◆ 4 ნოემბერს, საღამოს ცხრა საათზე, სად. კასპში მე-249 ვერსის რაზიეზდზე, როდესაც იქ იდგა სამხედრო მატარებელი, სამმა ყაზახმა ძალზე სცემეს რემონტის უფროს მუშას პეტრე ნონიკაშვილს და ფულადაც 51 მ. და 57 კაპ. წაართვეს.

◆ „ტარაზის“ რედაქტორ-გამომცემელ ტიგრან ნაზარიანისთვის ტფილისის გუბერნატორს ნება მიუცია ტფილისში სტამბა-სკოლის გახსნისა, რომელსაც სახელად ეწოდება „ჩქნაღ“-ი. ამ სკოლაში ქალებს მიიღებენ და სტამბის ხელობას შეასწავლიან.

◆ შაბათს, 5 ნოემბერს, ებრაელ. სინაგოგაში მოხდა ებრაელების მიტინგი. მიტინგმა, სხვათა შორის გადასწყვიტა, შეუერთდეს სომხების დაშნაკცუთუნის პარტიის მიტინგზე შეგროვებულს 300 მანათს, რომელიც ზემოხსენებულ პარტიას უნდა გადასცენ.

◆ 5 ნოემბერს, ღამის 1½ საათზე, ბ-ნი ამიაშვილი თავის ამხანაგით აბანოდან მთაწმინდაში მიდიოდა. როცა სათავად-აზნაურო სასწავლებელს მიუახლოვდნენ, **ორმა კაზაკმა გააჩერა** და ჩხრეკა დაუწყო. ამიაშვილს ფული ჰქონია და არ წამართვანო, გაქცევა დაუპირებია, მაგრამ ერთს კაზაკს დაუჭერია და ხმალი კისერზე დაუდვია: ხმა არ ამოიღოო. კაზაკებს გაუჩხრეკიათ და ფული ვერ უპოვიათ. ამიაშვილი ჩივილს აპირობს.

◆ **სად. საგირა.** 6 ნოემბერს მე-637 ვერსზე ნახეს ერთი მუშა, რომელსაც ორივე ფეხები მოწყვეტილი ჰქონდა.

მიტინგები ტფილისში

მოხელეთა მიტინგი.

კვირას, 6 ნოემბერს, მამადავითის მთაზე, ტფილისის მოხელეთა მიტინგი მოხდა. მიუხედავად ცუდის ამინდისა და იმ გარემოებისა, რომ დაწესებულებათა უფროსებმა მოხელეებს მიტინგში მონაწილეობის მიღება დაუშალეს, მიტინგს სამასამდე კაცი დაესწრო. პირველად აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ დროა, მოხელეებმაც აღიარონ, რომ ისინიც თავისუფალი მოქალაქენი არიან და რუსეთის დანარჩენ მებრძოლებსავით მათაც წარადგინონ, წინადა პროფესიონალურ საჭიროებათა გარდა, პოლიტიკური მოთხოვნილებებიც. თავმჯდომარემ კრებას განუმარტა, რომ, თუ გვინდა რაიმე ძალა გვქონდეს, საჭიროა კავშირი შევადგინოთო. მიტინგმა მოიწონა აზრი კავშირის შედგენის შესახებ და შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „რუსეთის ისტორიულ მოვლენათა მიმდინარეობა, რომელმაც აიძულა მთავრობა 17 ოქტომბრის მანიფესტით სახელმწიფოში ეღიარებინა კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული ფორმა მმართველობისა და რომელიც დღესაც სულს უხუთავს მრავალ-ტანჯულ 140 მილიონ ხალხს რუსეთისას, ისეთი მიმდინარეობა საქმისა ცხადად მოწმობს, რომ ბიუროკრატიას ძალა არ შესწევს განახორციელოს მისდამი მინდობილი საქმე—მთელის სახელმწიფო ორგანიზმის გარდაქმნისა ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველზე.

„ამიტომ ტფილისის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირი ღრმად დარწმუნებულია, რომ საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ კენჭის ყრით, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და სქესის განურჩევლად, მოწვეულ დამფუძნებელ კრებას შეუძლიან განთავისუფლოს მხარე მოსალოდნელ უბედურობისაგან და ძლიერ კულტურულ გზაზე დააყენოს.

„როგორც საერთო პოლიტიკურს, აგრეთვე პროფესიონალურ საჭიროებათა ნიადაგზე, რომელიც გამომდინარეობს მოხელეების საცოდავ, უუფლებო ეკონომიურ მდგომარეობიდან, არსდება მოხელეთა კავშირი, რომელსაც აზრადა აქვს მოსპოს ბრძანებლობითი დამოკიდებულება კანცელარიებში და წვრილსა და სხვილ მოხელეთა შორის შრომის ფასი ღირსეულად განაწილოს.

„რათა უფრო კარგად განახორციელოს თავისი მიზანი, კავშირი ეხმრობა სრულიად-რუსეთის მოხელეთა კავშირს, რომელიც თავის მხრივ კავშირთა-კავშირს შეუერთდა“. ამ რეზოლუციას 170 კაცმა მოაწერა ხელი.

მიტინგზე აგრეთვე აღიძრა საკითხი, რომ ღონისძიებანი იქმნეს მიღებული, რათა კავშირში მონაწილენი უფროსთაგან სამსახურიდან არ იქმნენ დათხოვნილნი.

კრებას ემცნო, რომ სახაზინო პალატის უფროსმა მიხაილოვმა დაითხოვა მოხელე ნევეროვიჩი მხოლოდ იმიტომ, რომ პალატის შენობაში მოხელეთა თათბირზე თავისუფალი ლაპარაკი გაბედა. კავშირმა ასწონა საქმე და, მიიღო რა მხედველობაში, რომ მას, როგორც ახლად დაარსებულს და სუსტს, არ ძალუძს რადიკალური ზომა იხმაროს მიხაილოვის წინააღმდეგ, გადასწყვიტა, ბეჭდვითი სიტყვის შემწეობით თავისი პროტესტი განუცხადოს მიხაილოვს თვითნებობისათვის.

ზოგმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ძალის განსამტკიცებლად და ხალხის სურვილების განსახორციელებლად სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შევუერთდეთო. ეს აზრი პრინციპიალურად კავშირმა მოიწონა და საქმის განხორციელება დაავალა ბიუროს, რომელიც შესდგება სხვადასხვა დაწესებულებათაგან გამოგზავნილ დელეგატებისაგან.

მოხელის ნევეროვიჩის დათხოვნის შესახებ კავშირმა ჯერ-ჯერობით ასეთი რეზოლუცია მიიღო: „კავშირმა 6 ნოემბრის მიტინგზე დაადგინა: პროტესტი გამოუცხადოს ტფილისის სახაზინო პალატის გამგეს მიხაილოვს, მის მოქმედებისა გამო, რომელიც გამოიხატა თავისუფალ სიტყვისათვის ბ-ნ ნევეროვიჩის სამსახურიდან დათხოვნაში. ასეთი ტრეპოვისებური ტონი დღეიდან მოსათმენი აღარ არის. წინადადებას ვაძლევთ მიხაილოვს, ნევეროვიჩი ისევ მიიღოს“.

მიტინგმა მესამე რეზოლუციაც მიიღო:

„კავშირმა დაადგინა, მოითხოვოს სრული ამნისტია, ეგრედ წოდებულ, პოლიტიკურ დამნაშავეებისა, რადგანაც კავშირი მათ სთვლის იმ სამოქალაქო თავისუფლებისთვის საუკეთესო მებრძოლებათ, რომლის განსახორციელებლად დღეიდან მოწოდებულია კავშირიც“.

კასსის მოწყობა და ბიუროს კრებისათვის შენობის შოვნა ბიუროს დაევალა. კავშირის თანხის გაძლიერების შესახებ ერთმა მოხელემ სთქვა: ტფილისში არსებობს გადამწერთა საზოგადოება, რომელსაც 2,000 მანეთზე მეტი ფული აქვს. რადგან ეს საზოგადოება ფაქტიურად უკვე გაუქმებულია, წინადადება მივცეთ წევრებს ჩვენ შემოგვიერთდნენ, მით უფრო, რომ ამ საზოგადოების უმრავლესობა მოხელენი არიან. კავშირმა ეს აზრი მოიწონა და ბიუროს დაავალა გადამწერთა საზოგადოების წევრებს მოელაპარაკოს.

სოციალ-დემოკრატთა მიტინგი.

6 ნოემბერს ნაძალადევში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. განსახილველი საგანი იყო ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთისა. ორატორები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტით მთავრობამ სამოქალაქო თავისუფლება გამოაცხადა, მაგრამ მას შემდეგ იგივე ძალმომრეობა გრძელდება, როგორიც წინად იყო; ვიტტეს მთავრობაც, რომელიც ბევრ რამეს დაგვპირდა, ამჟამად სულს ართმევს ხალხს, მაგალითად, პოლონეთსა და რუსეთის სამს გუბერნიას. დასასრულ, მიტინგმა შემდეგი რეზოლუცია მიიღო:

„სოციალ-დემოკრატთა სახალხო მიტინგმა, გაიცნო რა ვიტტეს მთავრობის პოლიტიკა და დარწმუნდა რა, რომ თავისუფლების სახელით ისევ გრძელდება ძველი რეჟიმის პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება: 1) პოლონეთსა და რუსეთის სამ გუბერნიაში საომარ დროის წესების შემოღებაში, 2) კრონშტადტში თავისუფლებისთვის მებრძოლ მატროსთა თოფით დახვრეტაში და 3) იმაში, რომ ძველის წესების მიმდევარნი მოხელენი, რომელნიც პირველ მარჯვე დროსვე კონტრ-რევოლუციას დაიწყებენ, სამსახურიდან ჯერ კიდევ არ არიან გადაყენებულნი,—მიტინგი ენერგიულ პროტესტს უცხადებს გრაფ ვიტტეს მთავრობას და ყოველ მოქალაქეს იწვევს თავგამოდებულ ბრძოლისათვის ნამდვილ სამოქალაქო თავისუფლების სახელით, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამასთანავე მიტინგი მოითხოვს მთელს რუსეთში სამხედრო წესების გაუქმებას და იმეორებს 31 ოქტომბრის მიტინგის რეზოლუციას ძველი რეჟიმის ყველა მოხელეთა გადაყენების შესახებ“.

ფედერალისტთა მიტინგი

ექვს ნოემბერს დიდუბეში მოხდა შეერთებული მიტინგი ქართველ სოციალისტ ფედერალისტთა პარტიისა, სომხეთა სარევოლიუციო პარტიის „დაშნაკცუთუნისა“ და რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიისა. მიტინგმა განიხილა ახლანდელი მდგომარეობა რუსეთისა, საერთოდ, და პოლონეთისა, კერძოდ. ორატორებმა დიდხანს ილაპარაკეს, მძლავრად დაახასიათეს სრული უწესრიგობა და ხალხისთვის უნაყოფობა ახლანდელ წესებისა. როდესაც ორატორები პოლონეთს შეეხნენ, სთქვეს: პოლონეთი თავგანწირულად იბრძვის ავტონომიისათვის, ის უჩვენებს საუკეთესო მაგალითს ბრძოლისას ყველას, რადგან იცის, რომ ხალხი მხოლოდ მაშინ დაადგება შეგნებულ კლასობრივ ბრძოლას, როდესაც ეროვნულ დაჩაგვრას ბოლო მოეღება.

მიტინგის აზრით, საჭიროა დამყარდეს დემოკრატიულ ფედერატიული რესპუბლიკა, სადაც ყველა ერს ავტონომია ექმნება მინიჭებული. მიტინგმა შემდეგი რეზოლუცია მიიღო:

„ქართველ ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და სომხეთა სარევოლუციო ფედერატიულ პარტიის „დაშნაკცუთუნი“-ს შეერთებულმა მიტინგმა, რიცხვით 1000 კაცმა, 6 ნოემბერს, დაადგინა: 1) გამოეცხადოს მხურვალე თანაგრძნობა პოლონეთის ხალხს, რომელიც თავ-განწირულად იბრძვის პოლიტიკურ და ეკონომიურ თავისუფლებისათვის, და აგრეთვე მთელის რუსეთის მშრომელ ხალხს, რომელიც იბრძვის დაამყაროს დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც ადგილი აღარ ექნება ეროვნებათა დაჩაგვრასა და პიროვნების დამონებას; და 2) გამოეცხადოს ზიზღი ახლანდელ მთავრობას, რომელმაც ვერაგულად წაართვა პოლონეთის ხალხს თავისუფლების ის ნატამალიც კი, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტში იქმნა აღიარებული. ხსენებული პარტიები ამასთანავე იწვევენ ყველა მებრძოლ ელემენტებს რუსეთისას სოლიდარულის ბრძოლისათვის, რათა დემოკრატიულ-ფედერატიულ რესპუბლიკის პრინციპზე დამყარდეს ნამდვილი თვითმპყრობელობა ხალხისა“.

დეპეშა

ერობისა და ქალაქების წარმომადგენელთა კრების მიმართ.

ამჟამად მოსკოვში არის საერთო კრება ერობისა და ქალაქების წარმომადგენლებისა. ტფილისის თვითმართველობამ თავის მხრივ ამ კრებაზე წარმომადგენლად გაგზავნა თავ. ა. ვ. არღუთინსკი. საქართველოს სხვა ქალაქებიდან, თუ არ ვსცდებით, არავინ არ არის წასული ხსენებულ კრებაზე დასასწრებლად. თუმცა წესი მოითხოვდა, რომ ტფილისიდან ორი წარმომადგენელი მაინც ყოფილიყო გაგზავნილი და მათ შორის—ერთი ქართველი, მაგრამ ტფილისის თვითმართველობას,—არ ვიცით რა მოსაზრებით,—მხოლოდ ერთი კაცის გაგზავნა უცვნია საკმაოდ... საჭირო იყო, სხვა ქალაქებიდან მაინც წასულიყვნენ წარმომადგენელნი და მოსკოვის კრებაზე გაეგებინებინათ რუს-საზოგადოებისთვის ქართველთა ეროვნული მოთხოვნილებანი. მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩვენს მუნიციპალიტეტთა გამგებლებს სრულიად დავიწყებიათ ეს მოვალეობა და არავითარი თადარიგი არ დაუჭერიათ კრებაზე წარმომადგენლების გასაგზავნად.

რახან იმ კრებაზე დამსწრედ ქართველი არავინ არის, ამიტომ ტფილისის ქალაქის საბჭოს წევრმა თ-დმა ვლ. სიმ. მიქელაძემ გუშინ-წინ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მოსკოვში ერობისა და ქალაქების წარმომადგენელთა კრების თავმჯდომარეს და სთხოვა ამ დეპეშის კრებაზე წაკითხვა: „ვიმედოვნებ, რომ საქართველოსა და ქართველ ერს სამართლიანი მოსარჩლეები გამოუჩნდებიან რუსეთის განათლებულ შვილებში, რომელნიც დღეს მოსკოვში არიან შეკრებილნი. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სამეფო, თოთხმეტი საუკუნე არსებობდა. მისი ისტორია განუწყვეტელი ბრძოლა იყო კულტურისათვის. აზიისა და ევროპის საზღვარზე მდე-

---

პიროვნების თავისუფლება და ხელუხლებლობა, სადგომის და მიწერ-მოწერის ხელუხლებლობა, სიტყვის, პრესისა და სტამბების თავისუფლება, სვინიდისის თავისუფლება, აგრეთვე ის უფლება, რომ ადამიანი არც ერთ სარწმუნოებისა არ იყოს, კრების, კავშირების და ორგანიზაციების თავისუფლება, პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მიზნების მისაღწევად, სწავლების და სასწავლებლების თავისუფლება, პეტიციებისა და პროტესტების თავისუფლება, წოდებათა და პრივილეგიების მოსპობა, ეკლესიის განცალკევება სახელმწიფოსაგან.

ეკონომიურ ცხოვრებაში უკრაინელებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ მთელი საფინანსო და ეკონომიური პოლიტიკა უკრაინის სეიმის ხელში იყოს. აგრეთვე პროგრესიულ გადასახადის შემოღება შემოსავალზე, არა-პირდაპირ გადასახადების მოსპობა, იმათი უზრუნველყოფა, ვისაც მუშაობა არ შეუძლია.

მიწის თანდათანი გამოსყიდვა და ფასით გადაცემა იმათზე, ვინც მიწად-მოქმედებას ადგია,—ამ საქმის გამგეობა ადგილობრივ თვითმართველობას დაევალება. უკრაინას ახლავე უნდა გადაეცეს სახაზინო, საეკლესიო და სამონასტრო, აგრეთვე საუფლისწულო მამულები.

ამავე მიზნით უკრაინის სეიმმა უნდა გამოისყიდოს ყველა ქარხანა და კაპიტალისტური დაწესებულება, მშრომელთა მდგომარეობის უზრუნველ-საყოფად.

უნდა იყოს შემუშავებული კანონმდებლობა მშრომელ ხალხის უზრუნველსაყოფად, მის გაყვლეფის თავიდან ასაცილებლად: სამუშაო დღის განსაზღვრა და სხვ.

კიდევ თავისი განცხადება წარმოადგინა მალოროსების ერთმა ჯგუფმა. იგი ითხოვს, რომ:

1) ყველგან, სადაც ხალხი ეროვნებით, ეკონომიურად და ზნე-ჩვეულებით განსხვავდება მეზობლად მცხოვრებთ, მას უნდა მიეცეს ავტონომიის უფლება, რომლის საზღვარი და სახე უნდა იქმნას შემუშავებული ამ ხალხის წარმომადგენელთა კრებაზე; ამ კრების წარმომადგენლები ხალხმა საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულის კენჭის ყრით უნდა ამოირჩიოს.

2) ამის მიხედვით უნდა შეიცვალოს საერო კრებაც, რომელიც ფედერატიული უნდა შეიქნეს და რომელშიაც ყველა ავტონომიურ ნაწილის წარმომადგენლები გაიგზავნება.

3) რუსეთის ძირითადი კანონები ყველა ეროვნებას თვითგამორკვევის უფლებას უნდა აძლევდნენ და ეროვნულ კულტურის განვითარების უფლებას. ყველას უნდა შეეძლოს დაუბრკოლებლად იხმაროს თავისი ენა სასწავლებელსა, მწერლობასა, ხელოვნებასა და ყველა ადგილობრივ დაწესებულებაში, და ყველა ერის კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებას უფლება უნდა ჰქონდეს—ქონებრივი დახმარება მიიღოს ადგილობრივ და სახელმწიფო მთავრობისაგან.

ამის გარდა, **ერთმა პირმა** კიდევ შემდეგი წინადადება წარმოადგინა:

1) რუსეთის ყველა გუბერნიასა და მაზრას, მათ ეკონომიურ, გეოგრაფიულ და ეროვნულ სხვადასხვაობის მიხედვით, უნდა მიენიჭოს ავტონომია.

2) ამ ავტონომიურ ერთეულების შექმნა უნდა დაევალოს რუსეთის პარლამენტს, რომელიც უნდა შეეთანხმოს არსებულ ადგილობრივ თვითმართველობებს და ხალხისაგან არჩეულ პირებს.

3) ყველა ასეთ ერთეულში უნდა იყოს თავისი პარლამენტი.

4) იქ, სადაც სხვადასხვა ეროვნება არის დასახლებული, ყველა ეროვნებას პროპორციონალურად უნდა ჰყავდეს წარმომადგენლები.

5) ადგილობრივი პარლამენტები განაგებენ იმ საქმეებს, რომელიც რუსეთის საერთო პარლამენტს არ ექვემდებარება.

6) რუსეთის ცენტრალური გამგეობა უზრუნველჰყოფს ყველა ერთეულის ტერიტორიასა და უფლებას.

7) ყველა ავტონომიურ ნაწილს შეუძლია მოითხოვოს საამისო გარანტიები, თუ კონსტიტუციის დედა-აზრს არ არღვევენ.

8) სხვადასხვა ავტონომიურ ერთეულს უფლება ეძლევა ერთმანეთს შეუკავშირდეს ვადით ან უვადოთ საერთო საქმეების გასაძღოლად.

9) ამ ერთეულებს უთანხმოება თუ მოუვიდათ, საქმე უმაღლეს სასამართლოში ირჩევა. რომელიმე ერთეული თუ აჯანყდა, ცენტრალურ მთავრობას უფლება აქვს, მოსთხოვოს დანარჩენებს ზომების მიღება აჯანყების ჩასაქრობად.

10) ყველა ავტონომიურ ერთეულში ცალკე პირს ირჩევენ, რომელსაც შეუძლიან განაცხადოს პროტესტი, თუ ადგილობრივ პარლამენტის გადაწყვეტილება კონსტიტუციის წინააღმდეგია. მაგრამ პარლამენტმა ხელმეორედ იგივე თუ გადაწყვიტა, მაშინ მისი გადაწყვეტილება საბოლოოა.

11) ყოველი ერთეული თითო წარმომადგენელს გზავნის რუსეთის საერო კრებაში.

12) ამ წარმომადგენლებს ხალხი ინსტრუქციებს აძლევს.

13) ინსტრუქციები თუ დაირღვევა, ხალხი ახალს წარმომადგენელს აირჩევს.

14) წარმომადგენელს გასამრჯელოს თვით ხალხი აძლევს.

ავტონომიის იდეას ბევრი წარმომადგენელი ჰყავს ციმბირშიაც, მაგრამ ციმბირელებს გარკვეული საავტონომიო პროექტები არ წარუდგენიათ.

ეროვნულ ავტონომიის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი დაწვრილებით გარკვევა შეიძლება მხოლოდ იმ კრებაზე, რომელიც განსაკუთრებით მოწვეული იქნება. ეროვნებათა დამოკიდებულების გარკვევა შესაძლოა არის მხოლოდ მათი შეთანხმებით.

საზოგადოდ კი უნდა აღინიშნოს ადამიანმა, რომ დიდი შეცდომა არის, როდესაც ერთმანეთში ურევენ ეროვნულ და საოლქო ავტონომიის საკითხებს. ეჭვი არ უნდა იმას, რომ ორივე საკითხი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ეს ორი საკითხი ერთ საკითხად იქცევა იქ, სადაც ტერიტორიაზე ერთი ეროვნება არის დასახლებული, როგორც, მაგ., პოლონეთში; იქ საოლქო ავტონომია ეროვნულ მისწრაფებათა დამაკმაყოფილებელია.

ავტონომიის სურვილი შეიძლება ხალხს ჰქონდეს, ეროვნულ მისწრაფებათა მიუხედავად, იქ, სადაც რომელიმე მხარე ცენტრზე არის დაშორებული ან სადაც ხალხს თავისი განსაკუთრებული ზნეჩვეულება აქვს, მაგალითად, ინგლისის ახალშენები და რუსეთის ციმბირი.

მეორეს მხრივ, იქ, სადაც სხვადასხვა ეროვნება არის დასახლებული, ავტონომია თავისთავად ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას ვერ მოახდენს,—ზოგჯერ მას შეუძლიან კიდეც ეროვნულ განხეთქილების გამწვავებაც, როგორც ავსტრო-უნგრეთში, სადაც გერმანელები ებრძვიან ჩეხებს ბოჰემიაში, იტალიელებს ტიროლში, სლოვენებს შტირიასა და კარინთიაში, იტალიელები ხორვატებს დალმაციაში, პოლონელები რუსინებს გალიციაში, ხორვატები სერბებს კროაციაში. და ამნაირ ადგილებში უფრო სუსტი ეროვნება თავის დასაფარავად ეროვნულ ავტონომიას არ მიმართავს,—პირიქით, ცენტრალურ მთავრობის დახმარებას მოითხოვს.

ამიტომ ეროვნულ უფლებათა დასაცველად მხოლოდ ავტონომია და ფედერაცია არ გამოდგება,—მათ დასაცველად შეიძლება ცენტრალისტური მთავრობაც გამოდგეს, როგორც, მაგ., ბელგიაში; სადაც ორი სხვადასხვა ენის მოლაპარაკე ეროვნებაა დასახლებული.

სხვადასხვა ერებით დასახლებულ სახელმწიფოში ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა, რომ ყველა მოქალაქე თანასწორი იყოს ეროვნების მიუხედავად, ასე რომ მოისპოს ყოველივე ის, რაც ხელს უშლის ამა თუ იმ ეროვნებაში ენის, მწერლობისა და კულტურის განვითარებას, ისე, რომ სასწავლებლებში და საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში ყველა ენა თანასწორ უფლებიანი გამხდარიყოს.

ერობათა წარმომადგენლებმა პირველი საკითხი ნოემბერში უკვე გადასწყვიტეს. მეორე საკითხზედაც ყველამ თანხმობა უნდა გამოაცხადოს და ყოველ ეროვნების კულტურულ თვითგამორკვევის უფლება ძირითად კანონებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ყველა ეროვნებას უფლება უნდა ჰქონდეს თავის ენაზე ილაპარაკოს კრებებში, თავის ენაზე გამოსცეს გაზეთები და წიგნები, ყველას უნდა ჰქონდეს კავშირების და კრებების თავისუფლება, ეროვნულ ტანისამოსის ტარება და სხ.

უფრო რთულია სახელმწიფო დაწესებულებებში სხვადასხვა ენის ხმარების საკითხი.

უნდა ვთქვათ, რომ რუსულ ენის, როგორც სახელმწიფო ენის, შერჩენა აუცილებელია, აგრეთვე აუცილებელია რუსული ენის ხმარება ჯარებში.

ადგილობრივ ადმინისტრატიულ დაწესებულებებში და სასამართლოში სახელმწიფო ენის ყველგან შერჩენა საჭირო არ არის. მოსამართლეს ხალხის ენა უნდა ესმოდეს და ხალხის ენაზე ლაპარაკიც უნდა ჰქონდეს დავალებული. სხვადასხვა ადმინისტრატიულ დაწესებულებამ თავის ოფიციალურ ენად ის ენა გამოაცხადოს, რომელსაც მისი უფროსი დაწესებულება მას დაავალებს. ყოველსავე თხოვნას იმ ენაზე უნდა გასცეს პასუხი ადგილობრივმა დაწესებულებამ, რა ენაზედაც იგი დაწერილია. ამის განსახორციელებლად საჭიროა ისეთ მოხელეების ყოლა, რომელთაც რამდენიმე ადგილობრივი ენა ეცოდინებათ; მთავრობა ხარჯს ვერ დაერიდება ამნაირ საქმეში.

უფრო მწვავეა სასწავლებლებში ამა თუ იმ ენაზე სწავლების საკითხი. პირველ-დაწყებით სასწავლებლებში ენა უნდა იყოს ადგილობრივი, საზოგადოდ კი ყველა ერს უნდა შეეძლოს თავის ენაზე მიიღოს სწავლა. მაგრამ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ამ პრინციპის განხორციელება მეტად ძნელია. მეტად საჭირო კი არის, რომ რუსულ ენას ასწავლიდნენ, როგორც სახალხო, ისე საშუალო სასწავლებლებში. რუსეთის ყოველ მოქალაქეს გაადვილებული უნდა ჰქონდეს რუსულ ენის შეთვისება, მით უფრო, რომ რუსულის ცოდნა გაადვილებს სამხედრო სამსახურს.

ეროვნულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ავტონომიასთან ერთად საჭიროა დეცენტრალიზაცია, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს როგორც მართვა-გამგეობის, ისე კანონმდებლობის საქმესაც, რადგანაც შეიძლება ცენტრალისტურმა საკანონმდებლო კრებამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციოს ხოლმე ადგილობრივ და ეროვნულ საჭიროებას.

ადგილობრივ თვითმართველობას შემდეგში ბევრი ისეთი საქმე უნდა ჰქონდეს დავალებული, რომელიც ახლა ცენტრალისტურ მთავრობის ხელშია, მაგრამ ზოგიერთები ამბობენ, რომ ცენტრალურ მთავრობის ხელქვეით მყოფი ადგილობრივი თვითმართველობა ვერ უზრუნველჰყოფს ადამიანს ცენტრალისტურ ტენდენციებისაგან და საამისოდ უფრო საჭიროა საკანონმდებლო საქმის დეცენტრალიზაცია.

როდესაც ამბობენ, ავტონომია სახელმწიფოს მთლიანობას დაარღვევსო, ივიწყებენ შვეიცარიას, გერმანიას და შეერთებულ შტატების მაგალითს, ან ინგლისს, სადაც ყველა პროვინციას ფაქტიურად თავისუფლება აქვს მინიჭებული.

დიდ სახელმწიფოში, სადაც 140 მილიონი მცხოვრები არის, რამოდენიმე ას წარმომადგენლისაგან შემდგარ საერო კრებას არ შეუძლია სახელმწიფოს ყველა ნაწილების შესახებ თანასწორ ყურადღებით იშრომოს. ამიტომ რუსეთის პოლიტიკურ იდეალად უნდა დაისახოს დეცენტრალიზაცია, როგორც ადმინისტრატიული, ისე საკანონმდებლოც. მხოლოდ ამისი პრაქტიკულად განხორციელება ახლავე მეტად საძნელო არის. ქაღალდზე რუსეთის ცალკე ავტონომიებად დაყოფა ადვილი არის, მაგრამ ეს დაყოფა ბევრ უკმაყოფილებას და უთანხმოებასაც გამოიწვევს, რასაც შეიძლება მოჰყვეს თვითმპყრობელობის გამარჯვება რუსეთში.

ამიტომ ცხადია, რომ ადგილობრივ ავტონომიის საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც დასრულდება რუსეთის განთავისუფლება. უნდა იყოს გარკვეული გზა, რომლითაც ყველას შეეძლება ავტონომიის მიღება შემდეგში. ეს ავტონომიები უნდა შემოიღოს თვით რუსეთის პარლამენტმა, ყოველთვის განსაკუთრებულ კანონის გამოცემით. ჯერ ჯერობით კი—საავტონომიო მხარეების ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთო არჩევნებში.

წინდაწინვე შეიძლება ითქვას გადაწყვეტით მხოლოდ პოლონეთის ავტონომიაზე, სადაც ტერიტორიული და ეროვნული საზღვრები თითქმის ერთი და იგივე არის, რომ მას უნდა მიენიჭოს უთუოდ ავტონომია, საზღვრების ცოტაოდენის შეცვლით კი. (პრავო).

ბარე საქართველო საშინელსა და უდიერ თავდასხმას განიცდიდა ევროპის ცივილიზაციის მტერთაგან. იგი თავის გულმკერდით ხვდებოდა მტერს და მამულის საუკეთესო შვილთა სისხლით რწყავდა სამშობლოს არე-მარეს. პატარა საქართველომ ქრისტიანობასა და ცივილიზაციის გაცილებით მეტი ამაგი დასდო, ვიდრე სხვა რომელიმე მასავით პატარა მხარემ ქრისტიანობის ხანაში. მისი მწერლობა, როგორც სასულიერო, ისე საერო, მისი უმდიდრესი და ჩუქურთმის დიდებული ნაშთები, რომლითაც მოფენილია მთელი დასავლეთი კავკასია ტრაპიზონის კიდეებამდე, უტყუარი საბუთებია ქართველ ერის სულიერის ძლიერებისა. შეირჩინა და დაიცვა რა საქართველომ მეცხრამეტე საუკუნემდე თავისი ეროვნება, სარწმუნოება და სახელმწიფო წესწყობილება, შემდეგ თავისი ბედი დიდებულ რუსეთის სახელმწიფოს ჩააბარა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მისი უწმინდესი უფლებანი უზრუნველ-ყოფილი ყოფილიყო. მართალია, მან გარეგნულად თითქოს აიცილა განსაცდელი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს უზრუნველყოფა მეტად ძვირად დაუჯდა. მთელის საუკუნის განმავლობაში კავკასიის ადმინისტრაცია, იშვიათ გამონაკლის გარდა, ჩვეულობრივ მკვიდრს ფეხქვეშ ჰქელავდა, ამწვავებდა ნივთიერად და სულიერად. საქართველოს ცხოვრების არც ერთი მხარე არ გადაურჩა ბიუროკრატიულ მთავრობის გამხრწნელსა და გამათახსირებელ გავლენას. ენა, ეკლესია თუ სკოლა—ყოველივე შებღალულია. თავადი თუ მუშა ყველა დაწიოკებულ გაღატაკებულია. ქართველი ხალხი უფსკრულის პირასა სდგას. და ეს მაშინ, როდესაც მას აქვს უფლება თავისუფალ ცხოვრებისა, აქვს უფლება, რომ რუსეთის დიდებულ სახელმწიფოს ეროვნებათა ოჯახში სხვების თანასწორი ადგილი ეჭიროს. აუტანელი, სატვირთმძიმო უუფლებობა იყო მიზეზი, რომ რამდენიმე წლის წინად, ვიდრე დღევანდელი სრულიად რუსეთის გამანთავისუფლებელი მოძრაობა დაიწყებოდა, ქართველებმა დაჰმეს და უარჰყვეს სასამართლო და ადმინისტრაცია. საქართველო რევოლუციონურ პროტესტის გზას დაადგა. რუსეთის გამანთავისუფლებელ მოძრაობის დაწყებისათანავე ქართველები კავკასიის მოწინავე მებრძოლ რაზმებში ჩადგნენ. ხალხოსნური, გამანთავისუფლებელი მოძრაობა საქართველოს დაბა-ქალაქებს მოედო. სრულიად-რუსეთის მოძრაობასთან ერთად ქართველი ერიც ესწრაფვის განახლებას. საქართველო დიად რუსეთის განუყოფელ ნაწილად უნდა დარჩეს. ეს არის სურვილი მთელის ხალხისა, ყველა მის შვილთა მისწრაფება, განურჩევლად წოდებისა, კლასისა, საზოგადოებრივ მდგომარეობისა. ქართველ ერის კეთილდღეობა შეკავშირებულია რუსეთის ერის კეთილდღეობასთან, რუსეთის სახელმწიფოს ბედნიერებასთან. ეს არის ძირითადი საფუძველი ქართველ ეროვნების პოლიტიკურის რწმენისა. ამასთანავე საქართველოსა სურს, მიენიჭოს მას ფართო ოლქებრივი თვითმმართველობა, უსაჭიროესს საკანონმდებლო ფუნქციებით, რომ მან შეიძლოს თავისუფალი გზა გაუხსნას თავის სულიერსა და ეკონომიურ ცხოვრების ძალთა განვითარებას. თავისუფლება თვითგამორკვევისა ყველაფერში, რაც კი მთელს სახელმწიფოს ინტერესებს არ შეეხება,—აი, რას მოელის საქართველო რუსეთისაგან. ქართველები, კავკასიის სხვა ეროვნებებთან ერთად, რომელთაც აგრეთვე სწყურიანთ თავისუფლება და უფლება-მოსილობა,—მხოლოდ ამ პირობებში იქნებიან მსოფლიო კულტურის ასპარეზზე სასარგებლო და ნაყოფიერ მუშაკებად''.

კორესპონდენცია

ს. ზემონიქოზი (ქართლი) 15 ოქტომბერი. ექვსს ამ თვეს ჯერ კარგად გათენებული არ იყო, რომ ვენახებიდან უცბად ორჯელ ზედიზედ, თოფის ხმა მოისმა. ყველას ძალიან შეეშინდათ. ოთხის წუთის შემდეგ, კვლავ მოისმა თოფის ხმა. ახლა კი ატყდა ხალხის ჩოჩქოლი და ყველას უნდოდა გაეგო, რა მოხდა. მოლოდინი დიდხანს არ დასჭირდათ. აგერ, მორბის გლეხი და იძახის: ვაიმე, ძმა მომიკლეს.

კაზაკებს და კეთილშობილთა რაზმელებს მოეკლათ ყოვლად უდანაშაულო და პატიოსნებით აღსავსე კაცი სანდრო კობერიძე, რომელიც ვენახიდან გამოვიდა და მათ წინ შეეფეთა.

კაზაკები რიცხვით სამოცამდე იყო და კეთილშობილთა რაზმელები კი ოცდა-ათამდე. ყველა კეთილშობილს თავ-პირი ახვეული ჰქონდა, რომ ხალხს არ ეცნო.

აი, ამ კეთილშობილ რაინდთა წინამძღოლობით, კაზაკები სოფელს თავს დაესხნენ. მცხოვრებლნი შეაგინეს, ნახევარი სოფელს შემოარტყა და ნახევარმა კი დაიწყო სახლებში თარეშობა. უწინ იმათ მოუცვივდნენ, ვინც, ცოტად თუ ბევრად, სხვაზე უკეთესად ცხოვრობენ. თვალ-წინ ნამდვილი ეზიდობა წარმოგიდგებათ. რასაც კი მოასწრებდნენ, იტაცებდნენ. გახსნიდნენ ათიოდ ოჯახი და ახლა საუზმისათვის დაიწყეს ხრუნვა, დაერივნენ ჯოხებით ქათმებს და მუსრი გაავლეს, არც ბატებს იწუნებდნენ. საუზმე სოფლის გარეთ, მინდვრად გამართეს. აქ რაღაც მოილაპარაკეს და სოფელს გამოეცხადნენ, ახლა კი აქედან მივიდნენ. ხალხი სამუშაოზე წავიდ-წამოვიდა. როდესაც სოფელი დაიმარტოხელეს, ისევ მოედგნენ სახლებს და უმოწყალოდ ჩხრეკა დაუწყეს. დაამტვრიეს დაკეტილი კარებები, სკივრები, ყუთები. რაც რამე ძვირფასი ნახეს, ჯიბეში ჩაიდეს, სასმელი ზოგი დალიეს.

ამასობაში შუადღე მოვიდა და ახლა სადილის მზადებას შეუდგნენ, ერთ გლეხს ოციოდ სული ცხვარი ჰყავდა, მოსტაცეს ორი და დაჰკლეს, წვრილ ფეხზე რაინდულად ინადირეს, სასმელს სახლებიდან იტაცებდნენ და ხელახლად გამართეს ნადიმი. ერთი ბიჭი დაიჭირეს და დაუწყეს თავშარში უწყალოდ ცემა: „გინდა თუ არა რუსულად გველაპარაკო". ბიჭი ეფიცებოდა, არ ვიციო, ისინი უარესად სცემდნენ. გამწარებულმა ბიჭმა იცნო სამი კეთილშობილთაგანი, რომელთანაც მოჯამაგირედ მდგარიყო, და იმათ მიმართა: შენ, ჭირიმე, ბატონო ალექსანდრე, შენ ხომ იცი, რომ მე რუსული არ ვიცი, დამიხსენ ამ ცეცხლისაგანო. შველის ნაცვლად იმათგანაც მათრახები მიიღო: „ვინ არის ალექსანდრეო"! სანამ გული არ იჯერეს, მანამ თავი არ დაანებეს, ბიჭი გულწასული დააგდეს და სასადილოდ წავიდნენ.

ერთის გლეხის ოჯახში, რომელშიაც ხშირად უქეიფნიათ კეთილშობილებსა და რომელსაც ფულებს აგულებდნენ, მესამეთ შეუდგნენ სახლის ჩხრეკას. წარმოიდგინეთ გლეხის გაოცება, როდესაც ხედავს კაზაკები განზე დგანან და ეს თავის მეპურმარილე თავადები კი... მას სძარცვავდნენ. ვეღარ მოითმინა და უთხრა: „პლატონ! თუ მძარცვთ, გამძარცვეთ ეს მეტაცებლობა რადა არის". მაგრამ თავადებმა ყაბალახი უფრო მოიბურეს და შეუტიეს: „ვინ არის აქ პლატონიო"!

როცა კარგად დაარბიეს სოფელი და დაიწიოკეს საწყალი გლეხები, ჩვენი რაინდები გზას გაუდგნენ, თანაც გვიბრძანეს საღამოდან მზის ამოსვლამდე კარედ ფეხი არ გამოდგათ, თორემ ყველას ამოგწყვეტთო.

აი, ასეთ უბედურ დღეშია ჩვენი სოფელი და არ ვიცი შემდეგში რა დღე მოგველის!..

თ. კ—ძე.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! თქვენს პატივ ცემულ გაზეთში მოყვანილი იყო ცნობა, რომ „პურ-ღვინოს" სასტუმროში ვიდექი და 22 ოქტომბრის სისხლის ღვრისა და დარბევის დროს 600 მანათის ზარალი მომივიდა. ნება მიბოძეთ თქვენივე გაზეთის შემწეობით ამ ცნობას შემდეგი დაუმატო მე ვიდექი „პურ-ღვინოს" სასტუმროში კი არა, „მუხრანის ნომრებში", სადაც მეჭირა მე-25 ნომერი და ჩემი საკუთარი ავეჯეულობით მქონდა მოწყობილი. 22 ოქტომბერს სახლში არ ვყოფილვარ, ნომერი დაკეტილი მქონდა და მე სხვაგან ვიყავი. საათის 5 იქნებოდა, რომ სახლში ვბრუნდებოდი. სახაზინო თეატრს რომ მოუახლოვდი, ერთმა სალდათმა თოფით შემაჩერა და წინ აღარ გამომიშვა. იქვე იდგა პოლკოვნიკი (სამწუხაროდ მისი გვარი არ ვიცი), რომელიც სალდათებს გზებზე აყენებდა და სხვადასხვა განკარგულებას აძლევდა. მივმართე და ვთხოვე, ჩემს ნომრამდე მიმიშვით მეთქი. პოლკოვნიკმა უშვერის პირით ლანძღვა დამიწყო და მითხრა: დამისახელე ისინი, ვინც ყუმბარებსა და რევოლვერებს ისროდნენ, და მაშინ გაგიშვებო. მერე მითხრა: აქედან დაიკარგე, თორემ ამ საათში ვუბრძანებ და შენც, როგორც შენს ამხანაგებს, თოფით დაგხვრეტავენო. საღამოს 7 საათამდის ვიდექი თეატრთან და არ ვიცოდი, სად წავსულიყავ. ბოლოს გვერდზე გამიარა ერთმა ჩემმა ნაცნობმა აფიცერმა—ნიკურაძემ, რომელსაც ვთხოვე, როგორმე ნომრამდინ მიმეცილებინე. ნიკურაძე გამიძღვა წინ და „მუხრანის ნომრებში" მივედით. შესავალში, დერეფანში, კიბეებზე ეყარა სხვადასხვა დამტვრეული ავეჯეულობა, ალაგ-ალაგ სისხლი იყო დაღვრილი, კარებ-დამტვრეულ ნომრებში ჯარისკაცებს სანთლები ეჭირათ ხელში და ყველაფერს სჩხრეკდნენ. ჩემი ნომრის კარებიც გაეტეხნათ და შიგ ორი სალდათი რაღაცას ეძებდა. სალდათებმა თოფები მოგვიღერეს და ნომერში არ შეგვიშვეს, ყველაფერი აწეწილ-დაწეწილი და დამტვრეული იყო. ნიკურაძემ და მე მოვკარით თვალი მხოლოდ ხავერდის მუთაქებს და ნებაუნებურად უკან გამოვბრუნდით. შემდეგ მხოლოდ მესამე დღეს ნება რომ მივიღე და ჩემს ნომერში მივედი, კაპიტან ჩიქოვანის თანდასწრებით ვნახე, რომ, რაც ძვირფასი რამ იყო, ყველაფერი წაეღოთ, ოთახში ეყარა მხოლოდ დამტვრეული რკინის საწოლი, მაგიდა, სკამი, მატრაცი და სალდათების ძველი საცვლები და შარვალი. ერთ ხულიგანს ჩემი ქუდი წაეღო და ნაცვლად თავისი ძველი დაეტოვებინა. აღარაფერი არ დამრჩა, არც ტანისამოსი, არც საცვალი. ზარალი 600 მანათზე მეტია.

ალექსანდრე საბას ძე მაღნარაძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

4 ნოემბერი.

პეტერბურგი, 4. „პრავიტ. ვესტნიკში" დაბეჭდილია შემდეგი: გაზეთში „კურიერ ვარშავსკი" მოყვანილი იყო ცნობა, ვითომ გერმანიის მთავრობა აქეზებდა რუსის მთავრობას, რომ პოლონელების მიმართ მას სასტიკი ზომები მიეღო. ნამდვილ წყაროებიდან გაგიგეთ და შეგვიძლიან თამამად განვაცხადოთ: ზემოაღნიშნული ცნობა ყოვლად საფუძველს მოკლებულია.

პეტერბურგი, 4. გაფიცვამ ფეხი ვერ მოიკიდა და შეწყდა. გაფიცულთა შორის განხეთქილება მოხდა და პეტერბურგის ცხოვრებაზე გაფიცვამ გავლენა ვერ იქონია: მაღაზიები ღიაა, ტრამვაი დადის, ქუჩებში ჩვეულებრივი მოძრაობაა, თეატრებში წარმოდგენები იმართება. დღეს ელექტრონით განათებასაც დაიწყობენ. ტელეფონების გაფიცვა ეკონომიურ მიზეზებით აიხსნება, მატარებელი შუადღის 12 საათზე მოვიდა. ნიკოლაევის გზაზე მატარებლები დადიან. საერთო განათლების მინისტრმა უნივერსიტეტების საბჭოს დაუგზავნა განსახილველად ახალ უნივერსიტეტის წესდების პროექტი. საშუალო სასწავლებლების რეფორმის პროექტის განხილვა დროებით გადადებულია.

მოსკოვი, 5. მოსკოვის მუშათა კომიტეტმა პრინციპიალურად უარჰყო საერთო გაფიცვა. პეტროვსკო-რაზუმოვსკის რაიონის ქარხნებში გაფიცულთა მუშების მომეტებულმა ნაწილმა მიტინგზე დაადგინა, მუშაობას დაუბრუნდნენ.

ბერლინი, 4. „ბერლ.-კურიერი" ამბობს; „გაივლის კვირები, სანამ შესაძლებელი იქმნება დაიფასდეს გრაფ ვიტტეს მოქმედება. მთავრობის კეთილ განზრახვებში ხალხს ეჭვი არ უნდა ჰქონდეს. სამწუხაროა, რომ მეტად ძნელი საქმის განსახორციელებაში ვიტტეს უარი უთხრა რუსის ინტელიგენციამ".

ხოლმი, 5. პრივისლიანის გზებზე გაფიცვები შესწყდა. მატარებლები დადიან.

ეკატერინოსლავი, 5. ეკატერინინის რკინის გზის სადგურებზე გაფიცვების გამო მოგროვდა 15,000 ვაგონი საქონელი.

სტარიცა, 5. ლოტოშინში აგრარულ ნიადაგზე მოძრაობა დაიწყო. მონაწილეობას იღებდა 24 სოფელი ვოლოკამსის და სტარიცკის მაზრაში. მოსკოვიდან მოვიდნენ კაზაკები და პოლიცია. რადგანაც მიწათმფლობელებმა და გლეხებმა ერთმანეთს ზოგიერთი რამ დაუთმეს, გლეხთა მოძრაობა შესწყდა.

პეტერბურგი, 5. უმაღლესი ბრძანებით, სამხედრო მინისტრი რედიგერი და საზღვაო ბირილევი, როგორც მინისტრები, სახელმწიფო რჩევის წევრებად დაინიშნენ.

პეტერბურგი, 5 სამრეწველო-პროგრესიული და უფლებრივ-წესწყობილების პარტიები მოსკოვისა და პეტერბურგისა შეერთდნენ და დაირქვეს „17 ოქტომბრის კავშირი". მათი მოწოდება მთელ რუსეთისადმი შიპოვს და გუჩკოვს 5 ნოემბერს მოსკოვში მიაქვთ, სადაც წაიკითხავენ ერობისა და ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე. სხვათა შორის ამ კავშირს მიზნად აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს პოლიტიკურ გაფიცვებს.

რიაზანი, 5. სადგურზე მიიღეს შემდეგი დეპეშა პრივისლიანის რკინის გზის გამგეობისაგან: „პრივისლიანის გზის რუს მოსამსახურეთ 2 ნოემბრის კრებაზე კავშირთა კავშირის მიერ დაწყებულ გაფიცვის გამო, ცხადია პოლონეთის ავტონომიის გასაყვანად, სთხოვეს რუს-ამხანაგებს, არ დაიწყონ ახალი გაფიცვები, სანამ სახელმწიფო საბჭო არ შეიკრიბება, და გამოუცხადონ თავის უკმაყოფილობა რუსის დელეგატებს, რომლებიც მხარს აძლევენ პოლონეთის ავტონომიას ე. ი. პოლონეთის განცალკევებას. გახსოვდეთ. ამხანაგებო, რომ მდგომარეობა სახიფათოა. რუსეთის სამზღვარზე სდგას 200,000 პრუსსკა, რომლებიც მზად არიან ჩვენში წესიერება აღადგინონ. შეერთდით და რუსეთის დასაღუპავად კავშირთა კავშირს ნუ გაჰყვებითო"!

სუჯა, 5. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით შესდგა სამღვდელოების, მთავრობისა, საზოგადო დაწესებულებათა და სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთა კრება კრებას უნდა შეემუშავებინა ზომები მაზრაში ხალხის დასამშვიდებლად.

ივანოვო-ვოზნესენსკი, 5, გუშინ ღამე მოკლეს ერთი კაზაკი, მეორე დასჭრეს ორის ტყვით, მსროლელები ვერ დაიჭირეს.

პეტერბურგი, 5. ტრამვაი წესიერად დადის ვარშავის ვოკზალზე დღეს მოსკოვიდან მატარებელი მოვიდა. მოსკოვ-ვინდავა-რიბინის რკინის გზაზე მატარებლებმა მხოლოდ ცარსკოე სელომდე მიაღწია. ვოკზალს ჯარი იცავს. ნიკოლაევის რკინის გზაზე მატარებლები რკინის ბატალიონს დაჰყავს, მოსკოვიდან მატარებლები წესიერად დადიან.

ვარშავა, 5 გუშინ დონის კაზაკთა რაზმს ვოლსკის გზატკეცილზე ლოხის სახლიდან ყუმბარა ესროლეს. ყუმბარამ გზა ამოთხარა და ახლო-მახლო სახლების ფანჯრები ჩაამტვრია. არავინ დაშავებულა. დაიჭირეს ბინისა და სადგომის პატრონები.

ხარკოვი, სამთო ინჟინერს დიტმარს ნება დართო ხარკოვში პროგრესიულ მიმართულების გაზეთი გამოსცეს.

ბერლინი, 5. კილში ნაღმოსანი დაეტაკა კრეისერ „უნდინას" და ჩაძირა. დაიხრჩო ოფიცერი და 32 მატროსი.

პენზა, 5. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეატყობინა გუბერნატორს, უმაღლესი ბრძანება, რომლითაც სარატოვის გუბერნიაში გაგზავნილ გენერალ-ადიუტანტ სახაროვის განკარგულების ქვეშ იქმნება აგრეთვე პენზის გუბერნიაც.

ბათუმი, 5. მატარებლების მიმოსვლა დაიწყო. ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. სამხედრო წესების მოსახსნელად გენერალ მალამას ელიან.

პეტერბურგი, 5, ოფიციალურად. რადგანაც პროვინციებში ხმები ვრცელდება, ვითომ კრონშტადტში მომხდარ უწესოებაში მონაწილეობის მიმღებნი ჯარის კაცნი სამხედრო სასამართლოს გარდასცეს და სიკვდილით დასჯა გარდაუწყვეტესო, ჩვენ მინდობილობა გვაქვს განვაცხადოთ, რომ ეს ხმები ტყუილია. ამჟამად კრონშტადტში ამ საქმის შესახებ გამოძიება სწარმოებს. ამას კარგა დიდი დრო უნდა და მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, ვის რა სამართალში მისცემენ და ვის რა სასჯელი მოელის, ციხეში, სადაც ამჟამად სამხედრო წესებია გამოცხადებული ეს საქმე გაირჩევა, სამხედრო სასამართლოში, მაგრამ კრონშტადტში მომხდარ უწესოებებში მონაწილეობის მიმღებნი სამხედრო სწრაფ სასამართლოში არც იყვნენ და არც იქმნებიან გასამართლებულნი. ამიტომ ხმები ჯარის კაცთა სიკვდილით დასჯაზე საფუძველს მოკლებულია და გავრცელებულია იმ მიზნით, რომ ხალხი აღელდეს.

პეტერბურგი, 5. შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით მინისტრის საბჭომ განიხილა საკითხი სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირში მონაწილეობის შესახებ. საბჭომ სცნო, რომ მოხელეთ არ შეუძლიანთ ზემოდ მოყვანილ კავშირის წევრებად ჩაეწერონ 17 ოქტომბრის მანიფესტი ნებას არ აძლევს იმ პირთ, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში არიან, დაარღვიონ არსებული კანონები სამოქალაქო სამსახურის შესახებ, ამიტომ მოხელეთ არ შეუძლიანთ, შეადგინონ კავშირები, იმიტომ რომ უდისციპლინოდ შეუძლებელია სახელმწიფოს წესიერებით არსებობა.

სოსნოვიცი, 5. ვარშავისკენ მატარებლების მიმოსვლა დაიწყო, დუქნები გააღეს, წვრილი დაწესებულებანი მუშაობას შეუდგნენ.

ვარშავა, 5. ტელეფონმა მუშაობა დაიწყო. ტრამვაი მუშაობას დღეს დაიწყებს. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა ვარშავის სახაზინო თეატრები, რადგანაც ამათ გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს.

მოსკოვი, 5. გუშინ ხმოსანთა კერძო კრებაზე ქალაქის მოურავის კანდიდატად დაასახელეს ალექსანდრე გუჩკოვი.

სიმფეროპოლი, 5. სოფლებ კახოვკასა და ზბურიევკაში, აგრარულ ნიადაგზე მოძრაობა დაიწყო.

პეტერბურგი, 5. ინჟინერთა კავშირის დელეგატები გუშინ დადიოდნენ ბანკებში და მოსამსახურეთ გაფიცვას ურჩევდნენ, მაგრამ ყველგან უარი მიიღეს. დღეს ყველა ბანკები გახსნეს

იურიევი, 5. მაზრაში აგრარულ ნიადაგზე მოძრაობა დაიწყო. გლეხები მემამულეების ტყეებს სჩეხავენ.

პეტერბურგი. გაფიცვა გრძელდება, ფაბრიკები და ქარხნები არ მუშაობენ. პატრონებმა კრება მოახდინეს და დაადგინეს 9 საათის სამუშაო დღე დააწესონ, რაც მუშებს ორშაბათს უნდა გამოუცხადონ. რკინის გზები არ მუშაობენ.

ვარშავა, 5. ოსტროვეცკის რკინის გზაზე ააფეთქეს ხიდი. მატარებლების მიმოსვლა შესწყდა.

ჰელსინგფორსი, 5. თავადი ობოლენსკი დღეს კურიერის მატარებლით პეტერბურგს წავიდა. გენერალი ბარონ ზალცა გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

მოსკოვი, 5. მუშათა კომიტეტმა კურსკისა და ნიჟეგოროდის რკინის გზებზე განცხადება დაგზავნა: ის პირები, რომლებიც თავის თავს კომიტეტის წევრებად აცხადებენ და საერთო გაფიცვას ჰქადაგებენ, პროვოკატორები არიან.

ჰელსინგფორსი, 5. 4 ნოემბერს კონსტიტუციონალისტთა პარტიამ კრება გამართა, კრებამ, სხვათაშორის, დაადგინა: მართლმსაჯულება და ადმინისტრაცია მხოლოდ ფინების ხელთ უნდა იყვეს, ამიტომ ყველა რუსის მოხელე სამსახურიდან უნდა გადადგნენ: ხალხის წარმომადგენელნი არჩეულ უნდა იქმნენ საყოველთაო და თანასწორის ხმით. სახელმწიფო ენები ფინსური და შვედური ოფიციალურ ენებად უნდა იქმნას აღიარებული. რაც შეეხება რუსულ ენას, კანცელარიებიდან განდევნილ უნდა იქნას.

პეტერბურგი, 5. მუშათა დეპუტატების კრებამ დაადგინა, საერთო გაფიცვა შესწყვიტოს ხვალ შუადღის 12 საათზე,

რადომი, 5. გაფიცვები გათავდა. მაღაზიები გააღეს, ქუჩებში ხალხი არა სჩანს, დადიან მხოლოდ პატრულები. გუშინ აქ მოსულ ფოსტას [illegible] ექსპროპრიატორებმა, რომლებიც ფოსტას ახლდა, გზაზე 21,000 მანათი გაიტაცეს და მიიმალნენ.

კიევი, 6. ჩერკასის მაზრაში აგრარული მოძრაობა დაიწყო. გაგზავნეს ჯარები.

ტაგანროგი, 6. შესდგა კონსტიტუციონალურ-სახალხო პარტია. გეგმა კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიის გეგმასა ჰგავს. ოლქში აგრარული მოძრაობაა.

ვოლოგდა, 6. გუბერნატორმა აკრძალა ქუჩებში ყოველგვარი მანიფესტაციები.

კიევი, 6. პროფესორთა საბჭომ 30 ხმის უმეტესობით 28 წინააღმდეგ დაადგინა უნივერსიტეტი იანვრამდინ დახუროს.

კურსკი, 6. გუბერნატორმა განაცხადა, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით კურსკის გუბერნიაში გაძლიერებული დაცვის წესები შემოიღეს.

მოსკოვი, 6. შუადღის 2 საათზე შესდგა კრება ერობისა და ქალაქების წარმომადგენლებისა. თავმჯდომარედ აირჩიეს პეტრუნკევიჩი. ამხანაგებად სჩეჟანი და საველიევი. კრებაზე გოლოვინმა თავისი მოხსენება წაიკითხა, სადაც აღნიშნა საერობო კრებების მოქმედება და დიდი როლი, რომელიც მათ ითამაშეს განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ გოლოვინმა კრებას სთხოვა, ანარქიის წინააღმდეგ ზომები მშვიდობიანად გაარჩიოთო. კრებამ ფეხზე წამოდგომით პატივი სცა თავად ტრუბეცკოის და თავისუფლებისთვის ბრძოლაში ყველა დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას.

პენზა, 6. გუბერნიაში გაძლიერებული დაცვის წესები გამოცხადდა.

ვარშავა, 6. „დნევნიკ"-ის სიტყვით, ნოვო-ალექსანდრიის სამთო ინსტიტუტის პროფესორი დანგე, რომელიც ინსტიტუტში მანიფესტაციებს ხელმძღვანელობდა, გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ივანგოროდის ციხეში დაატუსაღეს.

პეტერბურგი. მთავრობის ცნობა. საზოგადოებაში ხმებია გავრცელებული, ვითომ პოლონეთის მიმართ მიღებული სასტიკი ზომები რუსის მთავრობას მეზობელ სახელმწიფოს რჩევით მიეღოს. მეორეს მხრივ ცნობილ მიმართულების პრესა ამბობს, გარემოება ეწინააღმდეგება 17 ოქტომბრის მანიფესტში აღნიშნულს პრინციპებს, მთავრობას განზრახვა აქვს რუსებსა და პოლონელებს შორის ეროვნული განხეთქილება ჩამოაგდოსო, რომ ამით თავისი რეაქციონური მისწრაფებანი განახორციელოსო. ყველა ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია. 31 ოქტომბერს მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობიდან სჩანს, რამ აიძულა იგი, პოლონეთში სამხედრო წესები შემოეღო. ამ მიზეზებს უნდა დაემატოს კოლექტიური განცხადებანი წრეებისა, რომელნიც პოლონეთის ეროვნებას არ ეკუთვნიან. ეს განცხადებანი ამტკიცებენ ცნობაში აღნიშნულ მიზეზებს, ამასთან ერთად ცნობაში შეუძლებელი იყო, ჩამოგვეთვალა ის ფაქტები, რომლებიდანაც ნათლად სჩანს, როგორ ექცევიან პოლონელები რუსის მოხელეთ და განსაკუთრებით რუსის ჯარს. ყველა ეს ამტკიცებს ადგილობრივ მცხოვრებთა ყველა კლასების აღელვებას და ამ გარემოებამ აიძულა მთავრობა მიეღო ზომები პოლონელების გამოსაფხიზლებლად. სხვადასხვა მაზრიდან უარ ჰყოფენ პოლონეთში სეპარატისტიულ მოძრაობას, მაგრამ შეუძლებელია კაცმა განსაზღვროს, სად იწყება რუსეთისაგან პოლონეთის ჩამოშორების მისწრაფებანი და პოლონეთის ავტონომიაზე ფიქრი, რომლითაც გამსჭვალულნი არიან პოლონეთის მცხოვრებთა ყველა კლასები და პოლიტიკური პარტიები. თუმცა ამ უკანასკნელის საზღვრები ჯერ კიდევ გამოურკვეველია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მათ უნდათ სრულიად ჩამოშორდნენ იმპერიის ადმინისტრაციისა და კანონმდებლობის მხრივ. პრივისლიანის მხარეს მრავალ განცხადებებში პოლონეთს სამეფოსაც კი უწოდებენ. ეჭვი არაა, ამგვარ სურვილებში გამოსჩანს მისწრაფება პოლონეთის სამეფოს აღდგენისა, რასაც ზოგიერთნი არც ჰფარავენ. ყოველ შემთხვევაში ყველა ამ ცვლილებებს უნდა მოჰყვეს რუსეთის მთავრობის გაუქმება ამ ქვეყანაში. ფინლიანდიის მაგალითი, რომელზედაც ჰვითითებენ ამ მოძრაობის მომხრენი, აქ მოსატანი არაა. ფინლანდიის დიდ სამთავროს გეოგრაფიულად და პოლიტიკურად არაფერი საერთო არა აქვს პოლონეთის სამეფოსთან და ამჟამად მინიჭებულნი უფლებანი ფინლიანდიას ეკუთვნოდა ახლო წარსულში და მათი დაბრუნება შეეთანხმებოდა 17 ოქტომბრის მანიფესტის პრინციპებს, ხოლო პოლონეთის შინაგან საქმეთა მოწყობის საკითხი ძველი, გამოურკვეველი საკითხია. მისი გარდაწყვეტა ცალკე პარტიებმა მიიღეს თავის თავზე და რუსეთის ხალხს არც კი დაეკითხნენ. საჭიროა, მოვუცადოთ სახელმწიფო საბჭოს დაარსებას, რომელიც განიხილავს პოლონეთის მოწყობის საკითხს, მანამდისინ კი არსებული წესწყობილება დაცული უნდა იქმნას. ეჭვს გარეშეა, რომ პოლონეთში ცხოვრება უნდა ვითარდებოდეს 17 ოქტომბრის მანიფესტის თანახმად, 1904 წლის 12 დეკემბრის ბრძანებასთან ერთად. ამიტომ პოლონეთში სამხედრო წესების შემოღება გამოწვეულია იმ მიზნით კი არა, რომ პოლონელებს ჩამოერთვას მანიფესტის-მიერ მინიჭებული უფლებანი, არამედ იმ მიზნით, რომ არეულობა მოისპოს. აქედან თავისთავად ცხადია, რომ პოლონეთის გუბერნიებში აიხსნება სამხედრო წესები, როგორც კი ხალხი დამშვიდდება და აღელვება ჩაქრება. ერთიცა და მეორეც პოლონელების ხელშია.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი,

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა', გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიამანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

თანხმად ტრაქტირებზე გადასახადთა დებულების 34 და 41 § სა **ტფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს ტფილისის მეტრაქტირეებს გამოცხადდნენ** გამგეობის შენობაში 1906 წლის ხარჯის გამწერ კომისიის წევრთა ამოსარჩევად.

უნდა გამოცხადდნენ შუადღის 12 საათზე შემდეგს, დღეებში: ტრაქტირისა და დუქნების პატრონები—ნოემბრის 8 ს, სასტუმროების პატრონები—ნოემბრის 9 ს, რესტორანებისა, ბუფეტებისა და საკონდიტეროებისა—ნოემბრის 10 ს, ლუდხანებისა—ნოემბრის 11 ს, ღვინით მოვაჭრენი და სარდაფების პატრონები—ნოემბრის 12 ს, მოწყობილ სახლებისა, კუხმეისტრებისა, ყავახანებისა და სხაიეს პატრონები—ნოემბრის 13-ს, სანოვაგით მოვაჭრენი—ნოემბრის 14 ს და ბაკების პატრონები — ნოემბრის 15 ს — 1905 წლისა.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 10 ნოემბერსს გაწმენდილი იქმნება ის აუზი, საიდანაც წყალი ეძლევათ დიდუბეს, კუკიას, ჩუღურეთს, ვორონცოვის გზატკეცილს, ხარფუხსა და მტკვრის მარჯვენა მხარეს გოლოვინის პროსპექტამდის; კვირას, 13 ნოემბერს, საღამოზე გაიწმინდება ის აუზი, საიდანაც წყალი ეძლევათ მტკვრის მარჯვენა მხარეს: მთის კალთებზე გაშენებულ ნაწილს, გოლოვინის პროსპექტსა და განთვის ქუჩის ზევით, ოლგინისა, წყნეთისა და ახლო-მახლო ქუჩებს და მამადავითისა და ამაღლების მიდამოებს, ავლაბარსა და ნავთლუღს. **ქალაქის გამგეობა სთხოვს მოქალაქეთ წინდაწინვე შეინახონ წყალი.** (1—6.—3,

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ გამგეობის შენობაში, ამა ნოემბრის 19-ს, შუადღის 12 საათზე **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა**, ვერის ხიდზე ეტლებისა და საქონლის მიმოსვლაზე ქალაქის სასარგებლოდ გადასახადის იჯარით გასაცემად. დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე (კვირა-უქმის გარდა) გამგეობის მეოთხე განყოფილებაში, დილის 10—12 საათამდე. (1—1)

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5